# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 96 — შაბათი, 2 მაისი 1909 წ. — № 96

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., საგულდგიაროდ განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბრუნ—დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სრულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


**ელენე სიმონის ასული ტყეშელაშვილისა, კონსტანტინე ივანეს ძე ტყეშელაშვილი, ბაგრატ სიმონის ძე კურცხალია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლის, მეორე—მამის და მესამე—სიძის კოლეჯსკი რეგისტრატორის

## ივანე კონსტანტინეს ძის ტყეშელაშვილისას.

მიცვალებულის დაკრძალვა ქუთაისში კვირას, მაისის 3-ს, ნაშუადღევის 4 საათზე, პოლიციის ქ., ქვარიანების გადასახვევში, საკუთარ სახლში (1—კვ.—1)

---

**ნინო სოლომონის ასული მაღლაკელიძე** (სასტუმრო ორიანტის ეკონომკა) აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 მაისს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელ შვილის

## ივანე მიხეილის ძის მაღლაკელიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს.. პანაშვიდი 12 საათზე. (1—232—1)

---

გულიდად მადლობას უძღვნი ნათესავთა და ნაცნობთ, რომელთაც გულწრფელი მონაწილეობა მიიღეს და წერილებით თუ პირადად გვანუგეშეს მწუხარებაში მყოფი ოჯახი თავადი გიორგი გვაჯასპირის ძის გელოვანის გარდაცვალების გამო.

მწუხარებაში მყოფი ქვრივი განსვენებულისა **ტიპი გელოვანისა შვილებითურთ.** (1—ფ.—1)

---

## კვირას 3 მაისს მუშტაიდის ბაღში

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

**გაიმართება**

## დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია

**ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია**

ლატარიაში, სხვათა შორის, ჩაგდებულია: ქვირფასი მხატვრული მარაო (შემოწ. კნ. ელის. მუხრან-ბატონისა), სრული სერვიზი ფაიფურისა (შემ. კნ. იულია თუშა ნიშვილისა), ძროხა, ვერცხლის ნივთები და სხვ.

**დილით** 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის გაიმართება

**განსაკუთრებული სეირნობა**

### ბავშვებისათვის

მრავალის სხვა და სხვა გასართობით: კარუსელი.—სირბილი.—ბურთაობა.—ნიშანში სროლა.—ბოძზე აცოცება.—გადახტომა.—გაჯიბრება საჩუქრებით.—საჩუქარი საუკეთესო ეროვნულ ტანისამოსისთვის მუსიკა.

**საღამოს** 4 საათიდან 11 საათამდის

### დიდი სეირნობა და ლატარია

დოღი. მკითხაობა. ფოსტა.—კონფეტტი.—ყვავილების ბრძოლა.—პროჟექტორი გარეთ ეკრანზე.

ორი ორკესტრი სამხედრო მუსიკისა.—საზანდარი.—მესტვირე.

ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ბავშვებისთვის 10 კაპ. ლატარიის ბილეთი 50 კაპ. (0—უ.—5)

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

შაბათს, 2 მაისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

## პედაგოგები

კომედია 3 მოქმედ. ოტტო ერნსტისა, თარგმანი დ. ნაზუგრიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ამირაჯიბი, გოგოლაშვილი, მესხიშვილი და თამარაშვილი; ბ-ნნი: გოცირიძე, ადამიძე, მეტრეველი, ნარი, ბაქრაძე, ზურაბიშვილი, სვიმონიძე, პეპანოვი, ინაშვილი და ერისთავი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ბილეთები გაიყიდება ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრის კასსაში ყოველ-დღე:—დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 საათზე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 10 მაისს.

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებით** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის** ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში მოყვანა სრულებით აღკრძალულია.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.** (3—უ—3)

---

**წარმოდგენა № 1.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 1.**

ოთხშაბათს, 6 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა პ. ირეთელისა.**

## ქრისტინე

დრამა 4 მოქმედ. და 5 სურათად.

მონაწ. მიიღებს მთელი ამხანაგობა **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენა „სად მიხვალ"?, „ღალატი".

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

---

**ოთხშაბათს, 6 მაისს,**

გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილების სახლში, სამხატვრო სკოლის სადგომში გაიხსნება მოსკოვის ცნობილ მხატვართა

## სურათების გამოფენა

მონაწ. ღებულობენ: ს. ივანოვი, ა. ვასნეცოვი, ლ. პასტერნაკი, კ. იუონი, კ. კოროვინი, ს. ჟუკოვსკი და სხვანი.

გამოფენა გაიხსნება დილის 10 ს. და ღია იქნება საღამოს 6 ს. შესვლის ფასი გამოფენის პირველ დღეს 1 მან. დანარჩენ დღეებში მოზრდილთათვის 25 კ. მოწაფეებისა, ბავშვების და სალდათებისთვის 10 კ. (4—6.—2)

---

## მიიღება ხელის მოწერა
## დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ აპრილსა და აგრეთვე მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების" რედაქციის სახელზე ტფილისში.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით· ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება"-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (12—უ.—10)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 54)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ვ. ღამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—68)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—118)

**ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში** შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—114)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—137)

**ექიმი** ქუთაისში **გ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ქართველთა ამხანაგობის სტამბის**

## ცინკოგრაფიამ,

რომელიც დროებით დახურული იყო, **კვლავ განაახლა მუშაობა** და ძველებურად კისრულობს ყოველ გვარ ცინკოგრაფიულ კლიშეების დამზადებას. (3—6.—3)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
**ვ. დ. ღამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—51)

## განცხადება

**ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო**

## ბანკისა,

ამით აუწყებს ყველას, რომ დასახელებულ ბანკის სავადო კუპონების და სატირაჟო გირავნობის ფურცლების განაღდება ხდება სახელმწიფო ბანკში და ყველა მის დაწესებულებაში. (3—6.—1)

---

## ტფილისი, 2 მაისი

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ჩვენი დროის მოღვაწენი სამაგალითო მხნეობით მეცადინეობენ ადგილობრივ გიმნაზიების დაარსებას. რა თქმა უნდა, ამ ფაქტს შეუძლებელია პრესსამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციოს და არ ასწონ-დასწონოს იგი. რა ნიადაგზე უნდა იყოს დამდგარი სახალხო განათლების საქმე—ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი და რთული საკითხია. ამიტომ ამის შესახებ შესაძლებელია ქართულ პრესსის წარმომადგენლებს ერთი და იგივე აზრი არა ჰქონდეთ, შესაძლებელია აქ აზრთა სხვა და სხვაობა დატრიალდეს. მოპირდაპირე აზრებისა და საბუთების შეხვედრას გიმნაზიურ განათლების შესახებ ის პრაქტიკული სარგებლობა შეუძლიან მოიტანოს, რომ საგანი გამოირკვევა და უფრო სამართლიანად აიწონ-დაიწონება.

ამ თვალთსაზრისით ჩვენ საჭიროდ მივაჩნდა ჩვენი აზრი გამოგვეთქვა გიმნაზიების დაარსებაზე საზოგადოებრივ ძალთა კერძო ინიციატივით და ვფიქრობდით, რომ ჩვენს შეხედულებას წინააღმდეგობას გაუწევდნენ თავად-აზნაურობის და სხვა ასე თუ ისე შეძლებულ კლასსების წარმომადგენელნი. სამწუხაროდ, ჩვენებური იდეოლოგები ქართველ ხალხის შეძლებულ ელემენტებისა არც ქართულს პრესსას აქცევენ რაიმე ყურადღებას და არც საჭიროდ სთვლიან ანგარიში გაუწიონ იმის აზრებს. ისინი ქართულ დემოკრატიულ პრესსას პასუხს იმით აძლევენ, რომ წარბშეუხრელად განაგრძობენ მოქმედებას ერთხელ არჩეულ მიმართულების ხაზზე და ლმობიერის გულ-გრილობით მოისმენენ, ვიდრე მოისწყინდებათ, პრესსის აზრებს. არა მარტო სასკოლო, არამედ მრავალ სხვა საქმეებშიაც ქართველ ხალხის შეძლებული ნაწილი განზრახ უყრუებს ყურს ქართულ დემოკრატიულ პრესსის აზრებს და უდარდელად განაგრძობს თავის საქმეს. ეს სიჩლუნგე მგრძნობელობისა და გულდახშულობა მრავალგვარ უკუღმართობის წყაროა. აქედან წარმოსდგება მაგალითად ის ფაქტი, რომ ჩვენს საზოგადოებრივ თვითმოქმედებას სიცხოველე და ენერგია აკლია; აქედან წარმოსდგება, რომ ჩვენში დემოკრატიული გარეგნობა აქვს ბევრს ისეთ საქმეს, რომელიც არსებითად და შინაარსით დემოკრატიის პრინციპებთან შეურიგებელია; აქედან წარმოსდგება, რომ ბევრი თითქოს ყველასაგან მოწონებული აზრი რჩება განუხორციელებლად და სხვა.

საგიმნაზიო განათლების საკითხში ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სიმართლე ჩვენს მხარეზეა და არა იმათკენ, ვინც გიმნაზიებს ეტრფიალება. მაგრამ ძალიან გვეეჭვება, ჩვენმა აზრმა გაიმარჯვოს; გვეეჭვება სწორედ იმიტომ, რომ გიმნაზიის მოტრფიალენი ჩვენ არც პასუხს გვცემენ არსებითად და არც ჩაუფიქრდებიან რიგიანად ჩვენგან მოყვანილ საბუთებს. ამის მაგიერ ისინი აამოძრავებენ თავიანთ პირად გავლენას ხალხში და ნდობას ადგილობრივ ბიუროკრატიის წრეებში და ამ გვარად იდეიურ ბრძოლის გარეშე მოიპოვებენ გამარჯვებას; გახსნიან გიმნაზიებს პატარა ქალაქებსა და სოფლებში, საიდანაც თანდათან ნახევრად გარუსებული პაწია ბიუროკრატები და მოხელეები გამოვლენ. ჩვენს თავადაზნაურობას და მის ფეხის ხმაზე მოსიარულე სხვა ოდნავ შეძლებულ წრეებს ხომ არავითარი იდეალი არ გააჩნიათ გარეშე სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურისა! ამ იდეალის მისაღწევად ისინი ხომ მუდამ მზად არიან დაივიწყონ თავიანთი ეროვნული ვინაობაც, ენაც, ხალხის კეთილდღეობაც და ბევრი რამ სხვაც!

შეძლებული წრეები ჩვენის საზოგადოებისა რომ ასე ალმაცერად შეხედავდნენ გიმნაზიურ განათლების ჩვენს კრიტიკას—ეს ჩვენ წინადაც კარგად ვიცოდით, მაგრამ თუ გიმნაზიების მოსარჩლედ მათთან ერთად ისინიც გამოვიდოდნენ, ვისაც თავის სამონოპოლიო საკუთრებად მიაჩნია პროლეტარიატის თვალსაზრისით მსჯელობა, ეს კი არ გვეგონა. იყო დრო, როდესაც „მესამე დასელები" ოპოზიციის გულისთვის ეწეოდნენ ზოგიერთ საქმეში ოპოზიციას. ეს იყო შედეგი მაშინდელის მათის სისუსტისა და შეურიგებლობის პრინციპისა. „მესამე დასელების" მემკვიდრეებს ეხლა სრულებით აღარ უნდა ესაჭიროებოდეთ ასეთი ოპოზიცია ოპოზიციისთვის და თუ ამისდა მიუხედავად ისინი მაინც კრიჭაში გვიდგებიან და ნიშნს გვიგებენ, გიმნაზიურ განათლებას თქვენს მეტი ყველა სიხარულით ეგებებაო,—ეს ან გაუკებლობის ბრალი უნდა იყოს და ან დემაგოგობისა.

„ახალ დროების" თქმით, რაკი საქართველოს ყველა კუთხეში გიმნაზიებს ჰხსნიან, ჰჩანს, ამას ცხოვრების „მუჯლუგუნები" მოითხოვენ, ხოლო „დროების" მესვეურებს კი ისეთი კელაპტარი უჭირავთ ხელში, რომელიც ცხოვრებას თავდაყირა აჩვენებსო. გვეეჭვება, ასეთი ლათაიები „ახალ დროების" რედაქციას მართლა საბუთებად მიაჩნდეს. თუ რასაც ხალხი მოიმოქმედებს, ყველაფერი კარგი იქნება და სასარგებლო, მაშინ რა საჭიროა, ვთქვათ, ხალხის დამრიგებელი სოციალდემოკრატია?. ჩვენ არასოდეს არ გვშინებია და არც ეხლა გვეშინიან იმისი, რომ ჩვენს აზრს ბევრი მიმდევარი არა ჰყავს: სიმართლე მიმდევართა რაოდენობით არ განიზომება. ვფიქრობთ, შეუძლებელია, სხვა აზრისა იყოს „ახალ დროების" რედაქცია.

ამ დემაგოგიურ საბუთის გარდა „ახალ დროებაში" იმის მეტი ვერაფერი ვერ ამოვიკითხეთ, რომ საზოგადო განათლებას ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა აქვსო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ საზოგადო განათლება ერთია და ჩვენი დროის გიმნაზიები კიდევ სხვა. საზოგადო განათლება ისტორიულ პირობების მიხედვით მოზარდ თაობას ცხოვრებისთვის საჭირო და დასრულებულ ცოდნას აძლევს, ეხლანდელი გიმნაზია კი თითქმის ყოველგვარ ნიჭს უხშობს ბავშვებს იმის გარდა, რაც სამაგალითო საკანცელარიო მოხელისთვის არის საჭირო. ჩვენებურ თავად-აზნაურობისთვის სახელმწიფო სამსახური ძვალრბილში გამჯდარი იდეალია და ამიტომ გვესმის, თუ ისინი ესარჩლებიან გიმნაზიურ განათლებას, მაგრამ პროლეტარიატის თვალსაზრისით მომავლე პრესსა რომ ამ გვარ განათლებას უკმევს გუნდრუკს—ეს კი რაღაც დაუჯერებელ საზღაპრო ამბავსა ჰგავს.

---

## ქართული სამეცნიერო ენა

უკვე იწყება ხანა, როდესაც ქართული ენა შედის ჩვენს სკოლებში,—ხანა, როდესაც უნდა შემუშავდეს ჯერ კიდევ შეუმუშავებელი ქართული სამეცნიერო ენა. წინანდელ დროსთან შედარებით სახალხო სკოლებში ჩვენს დედა-ენას და ამ ენაზე საგნების სწავლებას ეხლა უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი. აქა-იქ საშუალო სასწავლებლებშიაც შედის და გზას იკაფავს ქართული ენა. საჭირო არ არის იმისი მტკიცება, რომ სამშობლო ენის შესწავლა და ცოდნა დიდი განძია ყველა ერისათვის—ანბანური ჭეშმარიტებაა. ყველა შეგნებულ ელემენტის ვალია მეცადინეობა როგორც იმისთვის, რომ ჯეროვანი ადგილი მოვუპოვოთ დედა-ენას სკოლებში, ისე იმისთვის, რომ ჯეროვანად ისწავლებოდეს იგი სკოლებში. ამისთვის საჭიროა ეხლავე შევუდგეთ ნიადაგის მომზადებას ენის ჯეროვანად მისაღებად სკოლებში.

სკოლა კაცობრიობის ისტორიაში მძლეთა-მძლე ძალას წარმოადგენს. იგი უძლეველი იარაღია ადამიანისათვის ცხოვრებაში საბრძოლველად. ის სკოლა, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, შედარებით პატარაა იმ სკოლასთან, რომელსაც ცხოვრება ჰქვიან. ცხოვრება უზარმაზარი რამ სკოლაა, მაგრამ მისი მომავალ განვითარების საფუძველი აი ამ პატარა სკოლაში იყრება და ამისთვის საჭიროა, რომ ეს საფუძველი მტკიცე იყოს, რომ კედლებიც მას შეურყეველი ჰქონდეს. რასაც პატარა სკოლაში შეიძენს ადამიანი, ის საფუძვლად ედება ცხოვრების სკოლაში იმის გონებრივ ვითარების გაფართოვებას. ამას იმაზე მოგახსენებთ, ჩვენი ენა შეუმუშავებელია და იმ მცირე უფლებითაც ვერა ვსარგებლობთ, რომელიც მინიჭებული აქვს ქართულის ენის სწავლებას ჩვენს სკოლებში. ჩვენ არა გვაქვს შემუშავებული სხვა და სხვა მეცნიერებათა შემეცნებების გამომთქმელი, ხორც-შესხმული ტერმინები. კიდევაც რომ ფართო ადგილი მოიპოვოს დღეს სკოლაში დედა-ენამ, საჩქაროდ დავრჩებით, რადგან მზად არა ვართ, არა გვაქვს სხვა და სხვა მეცნიერების სახელმძღვანელოები. მეტსაც ვიტყვი: შეძლებაც არა გვაქვს რომ შევადგინოთ ან ვთარგმნოთ ამა თუ მეცნიერების სახელმძღვანელო. ეს აზრი არც ისე გააოცებს კაცს, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ არც ერთი ჩვენ მიერ ხმარებული ტერმინი არ არის კრიტიკის თვალით განხილული და ყველასათვის დაკანონებული. ერთი რომ ცნობილ ტერმინს ხმარობს, მეორეს იგი სიცილად არა ჰყოფნის.

მეორეს მხრივ, კიდევაც რომ შეადგინოს ან გადათარგმნოს ვინმემ რომელიმე სამეცნიერო სახელმძღვანელო, გამომცემელნი ვერა კისრულობენ მათ გამოცემას, რადგან შეიძლება, ულმობელმა კრიტიკამ ისეთის უვარგისობის დაღი დაასვას, რომ ზარალი მიაყენოს გამომცემელს.

აქა-იქ მუშაკებმა გამოიღეს ხელი და შეუდგნენ სხვა და სხვა მეცნიერულ წიგნის შედგენასა და თარგმნას, მაგრამ ტერმინების ხმარებაში იმათ არავითარი თანხმობა და წესი არა აქვთ დაცული: ერთი ალთას გარბის, მეორე ბალთას. ამისთვის საჭიროება თხოულობს, რომ თავდაპირველადვე ჯეროვანი ტერმინები შემოვიდეს ხმარებაში, ხოლო უღირსი ტერმინები განდევნილ იქნას, რომ სკოლაში ამ თავითვე რიგიანი საფუძველი დაედოს ქართული ენის შესწავლას. საჭიროა, შემუშავდეს მეცნიერულ შემეცნებათა ტერმინოლოგია, რაიცა ერთის კაცს არ ძალ-უძს, ვინც გინდა იყოს იგი.

აქ მთელმა ჯგუფებმა უნდა იმუშაონ. ქართული ჟურნალი „განათლება" ბ-ნ კ. ელიოზიშვილის პირით ამბობს: ჩვენ ენაზე სამეცნიერო ტერმინოლოგია შეუმუშავებელია და ზოგიერთა განყენებულ ცნებათა გამოხატვა ქართულად ძნელია.. შრომა ამ მხრივ ჩვენთვის, ქართველებისათვის, აუცილებელია; ვიტყვი მეტს—დავიგვიანეთ კიდეც. მით უმეტესად, საჭიროა ენერგიული მუშაობა; ხოლო თვითეულ ადამიანის განმარტოებულს შრომას წრეებად და ჯგუფებად შემდგომი სპეციალისტთა შრომა ემჯობინება. ამ შრომას გვავალებს მოზარდი თაობა, ქართულ კულტურის სვე-ბედი",

ამის დაბეჭდვის შემდეგ ხანი გავიდა. სად არიან ეს ჯგუფები, ეს სპეციალისტები? შეიძლება კიდევაც შეადგენენ მუშაობას თავიანთ კაბინეტებში და ჩვენ-კი ვერ გავიგეთ. მაგრამ კაბინეტში იდუმალი მუშაობა იმდენს სარგებლობას ვერ მოიტანს. სიმართლე რომ ვსთქვათ, სპეციალისტი მხოლოდ მთელი ერია, რადგან სამეცნიერო ტერმინების დიდი უმეტესობა თვით ხალხში იმარხება, თითეულს ჩვენგანს მხოლოდ რამდენიმე იმათგანი შეუძლიან იცოდეს. ამისთვის საჭიროა, ინიციატივა იკისროს ვინმემ და დახმარება მოითხოვოს ყოველ კუთხიდან, რომ გაზეთის საშუალებით მიაწოდონ საჭირო ცნობები. ინიციატორობის როლი კი ამ საქმეში ეკუთნის იმისთანა დაწესებულებათა გამგეობებს, როგორნიც არიან წერა-კითხვის გამავრცელებელი და არხეოლოგიურ-ეტნოგრაფიული საზოგადოებანი. აი ამათ უნდა იკისრონ ამ საქმის მოწყობა.

ჩემის აზრით, საქმე ამ ნაირად უნდა მოეწყოს. უნდა შესდგეს კომისია, რომელიც მიანდობს ერთს ან რამდენსამე ენის მცოდნეს **თითეულ მეცნიერებაში** სახმარებელ ტერმინების შემუშავებას. ესენი, შეიმუშავებენ რა ტერმინებს, კომისიას გადასცემენ განსახილველად. ხოლო ეს უკანასკნელი განხილვის შემდეგ გაზეთებში გამოაქვეყნებს, რომ კრიტიკა შეეხოს, რის შემდეგაც უკვე მიღებული იქნება ესა თუ ის ტერმინი სახმარებლად. დასასრულ კომისია ტერმინებს თავს მოუყრის და ცალკე წიგნად გამოსცემს. მაშინ ყველას შეძლება ექნება ისარგებლოს ამ ლექსიკონით და უთანხმოებაც ნაკლები იქნება. ვიმეორებ, დროს ნუ დავკარგავთ; დაგვიანება არ ივარგებს. **კირ. ძ—შვილი.**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ნოვოე ვრემია"-ს ქუთაისში ერთი კორესპონდენტი ჰყავს, რომელსაც ჩვენი ნახევრად გაბედნიერება სწყურია. იგი თავის კორესპონდენციაში სწერს შემდეგს:

უცხო ტომთა შვილებს სწავლება უეჭველად სამშობლო ენაზე უნდა დააწყებინონ; სახელმწიფო დაწესებულებებში კი საქმის წარმოება უეჭველად სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს. უცხო ტომთა ყველა დაბალ სკოლებში პირველ წლებში სწავლება ადგილობრივ ენაზე უნდა იყოს. გარდა ამისა, აღიარებულ უნდა იქმნას ის პრინციპიც, რომ ყველა სასწავლებელში, რომელიც დაარსეს და თავის ხარჯით ინახავენ კერძო პირები და საზოგადოებანი, სწავლება იმ ენაზე უნდა სწარმოებდეს, და ის საგნები უნდა ისწავლებოდეს, რომელიც ამ კერძო პირთა და საზოგადოებათათვის სასურველია. ყველანაირი სკოლა საჭიროა და სასარგებლო, იმის მიუხედავად, ასწავლიან იქ სახელმწიფო ენას თუ არა. მთავრობამ მხოლოდ ზედამხედველობა უნდა გასწიოს ამ სკოლებში, რათა იქ სახელმწიფო ინტერესების და ზნეობის წინააღმდეგი არაფერი ასწავლონ და არ ჩაუნერგონ ბავშვებს. სულ სხვა საქმეა, თუ სასწავლებელი ხაზინის ხარჯით ინახება: მაშინ სახელმწიფოს უფლება აქვს, სწავლება ამგვარ სკოლაში თავის სურვილის თანახმად მოაწყოს და მოჰალეა ყველა საგანი სახელმწიფო ენაზე ასწავლოს.

უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლების საქმეში არავითარი დაბრკოლება სასურველი არ არის. სამშობლო ენაზე სწავლების დაბრკოლება კი მკაცრად გულს ჰკოდება და აბოროტებს ადგილობრივ მკვიდრთ.

კორესპონდენტმა კარგად იცის, რომ ჩვენ ქვეყანაში სწავლება უმთავრესად სახელმწიფოს ხელშია, რომელიც, რასაკვირველია, არაფერს დაჰკარგავს, თუ თუ ორიოდ ძვალს ადგილობრივ კერძო პირთა და საზოგადოებათაც გადაუგდებს. ამგვარსავე გულუხვობას იჩენს უცხო ტომთა მიმართ ეს ჩვენი სახიქადული მესვეური, როცა ჩვენ ქვეყანაში შემოღებულ სასამართლოების შესახებ მსჯელობს: ჩვენთვის იმაზე ზედმეტიც სურს, რაც რუსეთშიაც არ არის შემოღებული, მაგალითად —სამოქალაქო საქმეების განხილვა ხალხის მიერ არჩეულ ნაფიც მსაჯულების შეწეობით. სამაგიეროდ, სისხლის სამართლის საქმეები, კორესპონდენტის სიტყვით, საზოგადოდ კავკასიაში არა თუ ნაფიც მსაჯულების დასწრებით, ხალხის დაუსწრებლად უნდა ირჩეოდეს, რადგან შურის-ძიების შიშით არც ერთი მოწმე არა ჰბედავს აქ ხალხის დასწრებით სიმართლის აღსარებას. წერილი ამ გვარ მარგალიტებითაა სავსე, რომელიც ყველა ვერაგულ ძაფზეა ჩამოცმული.

* * *

ცნობილი რუსის მწერალი ელპატიევსკი იგონებს „რუსკ. ვედ."-ის ფურცლებზე მოთავსებულ წერილში იმ დროს, როცა ევროპაში რუსებს ისე უყურებდნენ, როგორც ველურებსა და ბარბაროსებს. ავტორის სიტყვით, ამ 15 წლის წინად ევროპაში თავის ცოლით სამგზავროდ წასული ერთი განათლებული რუსი, როცა ერთ ევროპიულ ქალაქში დაბინავდა, მეზობლებმა მას ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ როგორც ბარბაროსი რუსი, იგი უეჭველად ცუდად ეპყრობა და სცემს თავის ცოლს. ბოლოს და ბოლოს, როცა დაინახეს, რომ იგი ადამიანურად ეპყრობოდა ცოლს, მეტად განცვიფრებულნი დარჩნენ.

დღეს ევროპიელთა აზრი ჩვენ შესახებ სრულებით შეიცვალაო, ამბობს ელპატიევსკი და თავის თავს ეკითხება, თუ რა მიზეზს უნდა მიეწეროს ეს სასიამოვნო მოვლენა. უპირველესად ყოვლისა, ამბობს იგი, ეს გარემოება იმას უნდა მიეწეროს, რომ უცხოელებმა სთარგმნეს და გაიცნეს ჩვენი დიდებული მწერლები—გოგოლი, დოსტოევსკი, ტურგენევი, ტოლსტოი და ნათლად დაინახეს ის ღრმა კაცობრიული იდეა, რომელზედაც აგებულია მთელი მათი შემოქმედებაო.

ელპატიევსკი, სხვათა შორის, მხატვრულად აგვიწერს ეგვიპტის ერთ ღარიბ სოფელში ხალხთან გამართულ საუბარს საზოგადოდ ტოლსტოის ნაწერებისა და კერძოდ იმის რომანის „აღდგომის" შესახებ. ღარიბ ფელახებს, ეგვიპტელ გლეხებს, მეტად საგულისხმიეროდ ეჩვენათ ტოლსტოის რომანში გამოთქმული აზრები და გულწრფელი მადლობა უძღვნეს უცხოელ სტუმარს მათთან საუბრისათვის.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**წვრილმანი კანონ-პროექტები**

30 აპრილს სათათბირომ განაგრძო იმ კანონ-პროექტის განხილვა, რომელიც შეეხება ორენბურგის სამასწავლებლო სემინარიაში მაჰმადის სჯულის სასწავლებლად ფულის გადადებას. მკითხველებს ეხსომებათ, რომ მაჰმადიანთა ფრაქციამ განცხადება შეიტანა მაჰმადიანთათვის საკუთარ სემინარიების დაარსებისა და სამშობლო ენაზე სწავლების შესახებ. ლაპარაკი უმთავრესად ამ განცხადებაზე იყო. მემარჯვენენი დიდ წინააღმდეგობას აცხადებდნენ—რუსეთში რუსული სკოლა უნდა იყოსო, თითქმის ვინმეს ნებას აძლევდნენ არა რუსულ სკოლის დაარსებისას. მემარჯვენე ზურეზოვსკიმ სთქვა: თუ თათრებს, პოლონელებს, ჩუქჩებს, კამჩადალებს და სხვა ამისთანებს უნდათ სამშობლო ენაზე სწავლება, თავიანთ ხარჯით დაარსონ სკოლებიო. ჩვენ მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ არა რუსებს თავიანთ ხარჯით დაარსებულ სკოლებშიაც არ აძლევენ სამშობლო ენაზე სწავლების ნებას.

სათათბირომ ბოლოს მიიღო კანონ-პროექტი ორენბურგის სემინარიაში მაჰმადის სჯულის სასწავლებლად 600 მანეთის გადადების შესახებ.

შემდეგ სათათბირომ განიხილა წვრილი კანონპროექტები. სხვათა შორის ერთი კანონპროექტი შეეხებოდა ტფილისში ამა 1909 წლიდან ხელოსანთათვის კურსების დაარსებას. ამისთვის კანონპროექტით უნდა გადაიდოს 1500 მანეთი წელიწადში. სათათბირომ მიიღო ეს კანონპროექტი. მიიღო აგრეთვე კანონპროექტი სასულიერო სასწავლებლის (საზოგადოდ) მასწავლებელთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

განიხილეს კანონპროექტი იმ ფულის შესახებ, რომელიც ხაზინამ უნდა გადასდოს ქალაქისთვის პოლიციის შესანახად. თითქმის ყველა ორატორმა, მემარჯვენეებმაც-კი, აღნიშნეს ქალაქების გაჭირვება და ამის მთავარ მიზეზად პოლიციის სიმრავლე დაასახელეს. სადათბიროს აზრით, უნდა შემცირდეს (ევროპის რუსეთში, რასაკვირველია) პოლიციის შტატები ქალაქებში. მხოლოდ ცნობილი ტიმოშკინი არ დაეთანხმა ამას. მან სთქვა: პოლიციის შესანახად უნდა განსაკუთრებული გადასახადი გაეწეროთ დამნაშავეებს, ესე იგი სოც.-დემოკრატებს, ტრუდოვიკებს, კადეტებს და სხვა მემარცხენეებსაო. როდესაც სათათბიროში ამის გამო სიცილი ასტყდა, ტიმოშკინმა დიდის რიხით განაცხადა: თუ სამინისტრო არ შემოიღებს ამ გადასახადს, მე შევუდგები ამ საკითხის შემუშავებასაო. ამ სიტყვებზე, რასაკვირველია, უარესი სიცილი ასტყდა.

**ურალის მუშების გაჭირვება.**

ურალზე არსებობს უზარმაზარი მთა-მადნის ქარხნები დემიდოვებისა. ეს ერთი თუ ორი წელიწადია, ამ ქარხნის მუშები საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნენ: ქარხნის პატრონები ფულს ველარ აძლევდნენ, რასაც აძლევდნენ, იმასაც სანოვაგით და საქონლით. დღემდე ქარხნებს მუშებისა დასდებიათ თურმე ერთ მილიონ მანეთამდე (ქარხნებში 15000 მუშაზე მეტია). ამის გამო მემარცხენეებმა შეკითხვა შეიტანეს სათათბიროში.

ეს შეკითხვა სათათბირომ განიხილა 30 აპრილს, სალამოს სხდომაზე. შეკითხვის გამო ილაპარაკა ვაჭრობის მინისტრმა. მან გაამართლა კიდეც ქარხნების პატრონნი და გაამტყუნა კიდეც: ქარხნის პატრონებს ფული არა ჰქონდათ და რას მისცემდნენ მუშებსაო; მეორეს მხრივ, ძალა რომ დაგვეტანებინა, ქარხნები დაიკეტებოდა და აუარებელი მუშა იმ მცირედსაც ვერ მიიღებდა, რაც მიიღო. მინისტრის სიტყვით, მთავრობას განუზრახავს ამ ქარხნის გამოსყიდვა, კარგად მოწყობა და მერე სხვა, უფრო მხნე კაპიტალისტების ხელში გადაცემა.

წაიკითხეს ფორმულები ს.-დემოკრატებმა, კადეტებმა და ოქტომბრისტებმა. სათათბირომ მიიღო კადეტების ფორმულა. აი ეს ფორმულა: სათათბირო აღიარებს: 1. რომ შეუწყნარებელია საპენსიო მფლობელებზე ახალ სესხის გაცემა ხაზინიდან და ვადების გაგრძელება წინად გაცემულ სესხის გასასტუმრებლად; 2. რომ აუცილებელია საჩქაროდ წარმოადგინოს მთავრობამ საკანონმდებლო დაწესებულებებში განსახილველად კანონპროექტები საპენსიო [illegible] წესრიგის შესახებ, [illegible] იმ საპენსიო ოლქების დაბრუნებაზე, რომელთა მფლობელებმაც წარმოება განსაზღვრულ დონეზე დაბლა დასწიეს ან არ გადაუხადეს მუშებს და მოსამსახურეებს განსაზღვრულ ვადის განმავლობაში ხელფასი, ურალის სამთო-მადნო მცხოვრებლების სადგილ-მამულო მოწყობის დაჩქარებაზე და ხაზინიდან ტაგალის ქარხნების მუშათათვის საჭირო დახმარების გაცემაზე.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მაისი

## ოსმალეთი

**ალექსანდრეტი.** კრეისერმა „ჰამბურგმა" ბრძანება მიიღო ბეირუტსა, კაიფასა და იაფუში შეიაროს.

**ბერლინი.** „კელნიშე ცაიტუნგს" სალონიკიდან ატყობინებენ: აქაურ სამხედრო კლუბის კომიტეტმა არზრუმის ახალგაზრდა ოსმალთა აფიცრებისგან დეპეშა მიიღო. დეპეშაში ნათქვამია სალდათები აღარ გვემორჩილებიან და შარიათის დაცვას თხოულობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოგვჟლეტთ გვემუქრებიანო. აფიცრები მახმუდ-შევკეთ-ფაშას სთხოვენ, გამოგზავნეთ ისეთი კაცები, რომელნიც ხალხსა და ჯარს დააშვიდებენო. თვითონ აფიცრები შიშით სახლებიდან ვერ გამოდიან თურმე.

**სტამბოლი.** გაზეთ „საბასის" კორესპონდენტის შეკითხვაზე გენერალისიმუსმა მაჰმუდ-შევკეთ-ფაშამ სთქვა: „ანატოლიაში ეხლა მშვიდობიანობაა და ქრისტიანების აწიოკება შეუძლებელია; საალყო წესები თვე ნახევარს კიდევ დარჩებაო.

„ოსმანიშე-ლლოიდის" სიტყვით ოსმალეთის თეირანელ ელჩს თავის მთავრობისთვის მოუთხოვია, საელჩო დასაცველად თეირანში ჯარი გამოგზავნეთო.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. პალატა შეუდგა ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების განხილვას. კომისიის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბერლინის ტრაქტატის ძალით

# როგორ ებრძვიან გაჭირვებას გლეხები
## უცხო ქვეყნებში

ყოველ მხრიდან ამბები მოდის ჩვენი სოფლის გაჭირვებაზე. იწერებიან: სოფელი გაღატაკდა მიწა გამოიფიტა, მოსავალი აღარ მოდის და რაც მოდის, ის მცირეც-კი ვერ გაუსაღებია გლეხს რიგიან ფასადაო. გინდა გაიუმჯობესე მეურნეობა, გინდა არა, შედეგი ერთია: ჩარჩს ვერსად წაუხვალ, ნაწარმოების დანახარჯს ვერ აინაზღაურებ, საჭიროა შველა, რამე სალსარიო.

კითხულობ და გესმის ყოველ დღე ასეთი გოდება. დიახ, სოფელი გაღატაკდა, გლეხ-კაცობა დაიშა და ხსნა-კი არსაიდან არის. მაშ რა უნდა ეშველოს სოფელს? ერთად-ერთი სახსარი სოფლის გამოსაბრუნებლად ისევ გლეხობის შეამხანაგება და შეკავშირებაა. დასავლეთ ევროპის გლეხობამ გაჭირვებას თავი დააღწია შეამხანაგების წყალობით; წარმატების გზას ისევ ამხანაგობათა შემწეობით დაადგა მეურნე გლეხი. ამიტომ მეტი არ იქნება, მოკლედ დავასურათოთ, თუ რა და რა ჯურის ამხანაგობებში ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის გლეხობის მეცადინეობა გაჭირებიდან თავის დასახსნელად. ეგები სხვის გამოცდილება ჩვენც გამოგვადგეს.

* * *

პაწია დანია ყოველგვარ ამხანაგობების ბუდეა, და ამიტომ დანიიდან დავიწყოთ ჩვენი ამბავი.

„პაწია დანიაო", ტყუილად კი არ ამბობენ: დანია ხომ ადგილით ტფილისის გუბერნიაზე პატარაა. ტფილისის გუბერნიის სივრცე უდრის 39.122 ოთხკუთხ ვერს, დანიისა-კი მხოლოდ 33.840 ოთხკუთხ ვერსსა. მაგრამ მცხოვრებთა რიცხვი დანიაში ორჯელ მეტია, ვიდრე ტფილისის გუბერნიაში.

ამ ოცდა-ათ, ორმოც-წლის წინად ღატაკი დანიაც ჩვენსავით განიცდიდა უკიდურეს გაჭირებას. მაგრამ დანიელმა გლეხმა შეიგნო ერთობის ძალა, მიჰხვდა, რომ „ერთი კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო", დაინახა, რომ მარტო ხელი ვერას გააწყობდა გაჭირებასთან. ერთად-ერთი ხსნა ერთობაში, დაზიარებაში იყო და დანიელმა გლეხმაც ამ საშუალებას მიჰმართა.

დანიელმა გლეხმა კარგად დაინახა, რომ მარტო პურის მოყვანით ვერაფერს გახდებოდა და იწყო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის განვითარება. თავდა პირველად მერძეობის საქმეს შეუდგა. დაიარსეს საამხანაგო, საზიარო სარძევე ქარხნები და მოაწყეს ეს ქარხნები საუკეთესო მანქანა-იარაღით. წევრებს მოჰქონდათ თავიანთ ძროხების რძე ამ ქარხანაში. ქარხანა იწერავდა თავის დავთარში მომტანის გვარსა და რძის რაოდენობას და მერე იკვლევდა საგანგებო ხელსაწყოთი რძის სიმსუქნეს, ნაყოფიერებას. მოტანილ რძიდან კარაქს სდღვებავდნენ. ქარხანაზე და დამზადებულ კარაქს ჰყიდდნენ. მსუქან, ცხიმიან რძეში უფრო მეტს ფასს აძლევდნენ, ვიდრე მჭლე რძეში. წევრისათვის უფრო სარფა იყო, რომ მისი ძროხის რძე მსუქანი ყოფილიყო. როგორ მოეხერხებინა ეს? ამხანაგობამ აქაც იხსნა თავისი წევრი: დაიქირავა ნასწავლი კაცები, რომელნიც დაიარებოდნენ წევრთა კარდაკარ, სინჯავდნენ ძროხებს, საგანგებო იარაღით იკვლევდნენ, თუ რომელი ძროხა რანაირ რძეს იძლეოდა—მსუქანს თუ მჭლეს. იმ ძროხას, რომელიც მსუქან რძეს იძლეოდა, საგანგებოდ უვლიდნენ, ინახავდნენ, ხოლო უვარგის ძროხას ან ჰკლავდნენ ან და ჰყიდდნენ. კაი ჯიშის ძროხას (ე. ი. რომელიც მსუქან რძეს იძლეოდა) ამრავლებდნენ, საგანგებო დავთარში სწერდნენ ჯიშის ჩამომავლობას, იმის გამოსაცნობად თუ რომელი ძროხა ვისაგან იყო ნაშობი, რათა ახლო ნათესავები და უხეირო ძროხები ერთმანეთში არ შეერიათ. იქაურ მეურნეების აზრით, თუ ჯიშს რამე ხეირი შეემატა და ახლო ნათესავებს ერთმანეთს შეურიეს ჯიში ჰკარგავს შემატებულ საუკეთესო თვისებებს); იკვლევდნენ, რომელი საკვები უფრო სარგო იყო ძროხისთვის. დიდი შრომა და მოთმინება იყო ამისთვის საჭირო, მაგრამ დანიელი გლეხები ეხლა არა ნანობენ. საზრიანმა მოქმედებამ ნაყოფი გამოიღო, ეხლა ისეთი ჯიშის ძროხები ჰყავთ დანიელებს, რომელიც ძალიან მსუქან რძეს იძლევა. კარაქის წარმოებამაც იმატა. აი ციფრები. დანიამ დაამზადა:

| | |
|---|---|
| 1875 წ. . . . . | 75 მილ. გირვ. კარ. |
| 1883 . . . . . | 86 მილ. „ „ |
| 1890 . . . . . | 113 მილ. „ „ |
| 1898 . . . . . | 115 მილ. „ „ |

ამ რიგად, 1873 წლიდან ვიდრე 1898 წლამდე ნაწარმოებ რძის რაოდენობა 86 მილიონიდან 115 მილიონ გირვანქამდე ავიდა, ე. ი. 58 მილნონი გირვანქა იმატა. ძროხების რაოდენობამ კი ასე იმატა. დანიაში იყო:

| | |
|---|---|
| 1881 წ. . . . . | 899 ათასი ძროხა. |
| 1898 წ. . . . . | 1067 ათასი „ „ |

ნაწარმოებ კარაქის რაოდენობამ თითქმის ერთი ორად იმატა, მეწველ ძროხების რაოდენობამ კი მხოლოდ **ერთი მეხუთედ**. ეს იმასა ნიშნავს, რომ 1898 წელს დანიელ ძროხის რძე უფრო მსუქანი, ცხიმოვანი იყო, ვიდრე 1881 წელს.

დიდძალ კარაქს აწარმოებს დანია და თითქმის სულ უცხო ქვეყნებში გააქვს. 1898—1900 წელთა განმავლობაში სხვა და სხვა სახელმწიფომ ამოდენა კარაქი შეზიდა ინგლისში:

| | |
|---|---|
| დანიამ . . . . . | 9.522 ათასი ფუთი |
| საფრანგეთმა . . | 2.710 ათასი „ |
| გერმანიამ . . . . | 266 ათასი „ |
| რუსეთმა და ფინლ. | 1.170 ათასი. „ |

ამრიგად, პაწია დანიამ სამი წლის განმავლობაში იმდენი კარაქი შეზიდა ინგლისში, რამდენიც ამავე ხნის განმავლობაში ვერ შეზიდეს ერთად უზარმაზარმა რუსეთმა (ფინლიანდიითურთ), გერმანიამ და საფრანგეთმა. დანია კი ჩვენ ტფილისის გუბერნიაზე პატარაა.

დანიაში 1903 წელს იყო 1064 საამხანაგო სარძევე ქარხანა. წევრი ჰყავდა ამ ამხანაგობას 148.000 კაცი. 1903 წელსავე დანიამ შეიტანა ინგლისში მხოლოდ კარაქი 84 მილიონი მანეთისა!

კარაქის გარდა დანიას გააქვს უცხო ქვეყნებში დიდძალი კვერცხი. უწინ კვერცხებს ადგილობრივ გლეხებისგან ყიდულობდნენ ვაჭრები, რომელნიც ბლომად მოუყრიდნენ ხოლმე თავს კვერცხებს და ინგლისში ჰგზავნიდნენ. კვერცხის სიკეთეზე სრულიად არა ზრუნავდნენ და ამიტომ ინგლისში ხშირად არა ღებულობდნენ კვერცხს. 1895 წელს ორმა სოფლის მასწავლებელმა იწყეს გლეხებში იმ აზრის ქადაგება, რომ საჭიროა კვერცხის მოკრეფის და გასაღების წესის გაუმჯობესებაო. საგანგებო ამხანაგობაც დაარსეს. ამ ამხანაგობამ თავისი განყოფილებანი მთელ დანიას მოჰფინა. ამხანაგობის ან იმის განყოფილების თვითეული წევრი კისრულობდა მხოლოდ ახლად დადებულ კვერცხის მიტანას. კვერცხებს ჰკრეფავენ წევრთაგან კვირაში სამჯერ. თვალყურის სადევნებლად თვითეულ კვერცხზე იწერება ნომერი ამხანაგობის ადგილობრივ განყოფილებისა და ნომერი წევრისა, რომელმაც კვერცხი მიიტანა. თუ ვინიცობაა კვერცხი ლაყე, გაფუჭებული გამოდგა, წევრი, რომელმაც ცუდი კვერცხი ჩააბარა ამხანაგობას, დიდ ჯარიმას იხდის. ამის მეოხებით ინგლისში ხელად სახელი გაიკეთა ამხანაგობის მიერ შეტანილმა კვერცხმა და ეხლა პირველ ხარისხოვან საქონლად ითვლება. 1903 წელს ინგლისში დანიელი კვერცხი იყიდებოდა, ორთა შუა რიცხვით, თითო კვერცხი სამ კაპიკ ნახევრად, გერმანული—მხოლოდ ორ კაპიკ ნახევრად, ხოლო რუსული—ორ კაპიკად! ამავე 1903 წელს დანიამ ინგლისში შეიტანა 15 მილიონ მანეთის კვერცხი ამ „საკვერცხე ამხანაგობას" მთელ დანიაში ჰქონდა 365 განყოფილება და ჰყავდა 22.000 წევრი.

დანიას ხორციც გააქვს საზღვარგარედ. 1903 წელს იქ იყო 27 ამხანაგობა, რომელთაც 66 ათასი (66.000) წევრი ჰყავდათ. ამხანაგობები ჰყიდდნენ ღორებს და საზღვარგარედ ჰგზავნიდნენ ღორის ხორცს. საქმე მალე განვითარდა: 1899 წელს დაჰკლეს დანიაში 729 ათასი (729.000) ღორი და 22.500 მსხვილ ფეხა საქონელი, სულ ერთად 17 მილიონ მანეთისა. ეს 27 ამხანაგობა ერთმანეთშიაც არის შეკავშირებული ამ კავშირის გამგეობა არის ქალაქ კოპენჰაგენში კავშირს საქმე პირდაპირ საზღვარ-გარეთელ მსხვილ მოვაჭრეებთან აქვს დაჭერილი.

მოვიყვან კიდევ ორიოდე ცნობას: დანიამ 1906 წელს საზღვარგარედ გაზიდა:

ცხენი და კვიცი 25411—9 მილ. მან. მსხვილ-ფეხა საქონელი—105,102 — 13 მილ. მან. ძროხის ხორცი 6,522 ათასი ფუთი—50 მილ. მან. კარაქი 4,847 ათასი ფუთი—85 მილ. მან. კვერცხი 325,200 ათასი—13 მილ. მან.

სულ გაზიდა საქონელი 169 მილიონ მანეთისა. პაწია დანიამ ამოდენა საქონელი გაზიდა, მერე რამდენი სიმდიდრე კიდევ სახლში დარჩა! ტყუილად ხომ არ ითვლება პაწია დანია, ინგლისის შემდეგ უმდიდრეს სახელმწიფოდ!

„ისე გავა მთელი კვირეები, რომ არა თუ გლეხს, ბრწყინვალე თავადაზნაურობასაც, ენატრება სველი ლუკმა. ზოგჯერ ლობიოს შეჭამანდს თუ მიუდგამენ ცეცხლს... კარტოფილი და კომბოსტო მხოლოდ ხილად თუ აქვს ვისმეს სოფელში*)", იწერებიან კახეთიდან. დანიელი გლეხის უმთავრესი საჭმელი კი პური, რძე, ძროხის ხორცი ხბოს ხორცი, ღორის ხორცი, თევზი და კარტოფილია! არც გონებრივ საკვებსაა მოკლებული დანიელი გლეხი: ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ზამთრობით სასწავლებლებსა და ეგრედ წოდებულ საგლეხო უნივერსიტეტებშია. ამხანაგობის მეოხებით, ერთობის წყალობით გამოკეთდა დანიელი გლეხი და აკი მადლიერიცაა მისი!

* * *

გალატაკებული, გაჭირვებასთან ბრძოლით ძალა გამოლეული, თით-

*) იხ. „ამირანი", N 145, 1908 წ.

დაარსდა ბოლგარიის სამეფო და უპირატესობის მქონე პროვინცია—რუმელია, რომელიც 1885 წელს შეუერთდა ბოლგარიის სამეფოსაო. რევოლიუციის დროსაო, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში, ბოლგარიის სამეფომ თავისი თავი დამოუკიდებლად აღიარა და ბოლგარიის მთავარმა მეფობა მიითვისა. ჩვენმა მთავრობამ პროტესტი განაცხადა, მაგრამ, როგორც მიღებულია, დარღვეულ უფლების აღდგენა იარაღით შეიძლება, და სიტყვიერმა პროტესტმა არ გასჭრა. ძველი რეჟიმის ბოროტ-მოქმედებამ ჯერ წინათვე საქმე იქამდის მიიყვანა, რომ ბოლგარია ფაქტიურად დამოუკიდებელი იყო, ამიტომ ჩვენ პროტესტზე უცხოეთის მთავრობებმა ის პასუხი მოგვცეს, რომ ბოლგარიას ფული გადაახდევინეთ და საქმე ამით გაათავეთო. დაწყებული მოლაპარაკება იმით გათავდა, რომ რუსეთმა წინადადება მოგვცა ბოლგარიის მაგიერ მე გადაგიხდით ფულსო. მივრიგდით. ჩვენ რუსეთის კონტრიბუციის ფული გვემართა და ამაში გავიბარეთ ბოლგარიისაგან მისაღები ფულიო. კომისიამ გამოუცხადა პალატას, რომ სახელმწიფოებმა ბოლგარიის დამოუკიდებლობა აღიარეს და თუ ამ 4 დღეში არ დამტკიცდა განაჩენი, კადა გაუვაო. კომისიის აზრით, განაჩენი უნდა დამტკიცდეს, რადგან შინაური რეფორმებია საჭირო და ამისთვის უცხო სახელმწიფოებთან კარგი დამოკიდებულება უნდა დავიცვათო.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო მთავრობის წინადადება, რომ ადანაში გაიგზავნოს საგამომძიებლო კომისია. კომისიაში ორი დეპუტატი იქნება—სომეხი და ოსმალო. ამბობენ, სულთანი კონსტიტუციის ერთგულებაზე შაბათს დასდებს ფიცსაო. დღეს სულთანმა ინახულა ძველი სერალი და ხაზინა.

გაზეთი „ოსმანიშე-ლლოიდი“ იმ აგიტაციის შესახებ, რომ ოსმალეთში ტონდერ-გოლც-ფაშა დაბრუნდეს და ჯარში დისციპლინა აღადგინოს, შენიშნავს, რომ ტონდერ—გოლც-ფაშას ყოფილი სულთანი აბდულ-ჰამიდი ცუდის თვალით უყურებდა და მას ახალგაზრდა ოსმალთა მომხრეთ სთვლიდაო.

**სტამბოლი.** მინისტრი (?) ელპარაკა სტამბოლის პატრიარქს. საუბრის დროს შეეხნენ პატრიარქის პრივილეგიებს. მინისტრმა პატრიარქს აღუთქვა, საქმეს მოვაგვარებო. ჰფიქრობენ, მოლაპარაკებამ კარგად ჩაიარა და ბერძნები და ახალგაზდა ოსმალნი შერიგდებიანო.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატის დახურულ კრებას დაესწრნენ დიდი ვეზირი, გარეშე საქმეთა, ფინანსთა, ვაჭრობის და სამხედრო მინისტრები და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. გარეშე საქმეთა მინისტრმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრი ამტკიცებდა, საჭიროა, რომ ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების განაჩენი დამტკიცდესო. კამათის შემდეგ განაჩენი დაამტკიცეს (121 ხმით 34 ხმის წინააღმდეგ).

## სპარსეთი

**თავრიზი.** გუშინ რევოლიუციონერებმა თავრიზიდან ათის ვერსის მანძილზე აიკლეს პოკაჩინი, რომელიც შაჰს ეკუთვნის.

**თავრიზი.** გენერალმა სნარსკიმ საგენერალო კონსულის პირით თავრიზის ახალ გუბერნატორს იჯალულ-მულკს მოსთხოვა, 48 საათის განმავლობაში დაგვაკმაყოფილეთ რუსის დარაჯის მოკვლისათვისაო.

რუსეთისა და უცხოელების საელჩოების, საკონსულოების და ქვეშევრდომების დაცვა გააძლიერეს.

ეინუდ-დოულემ სპარსელ ყაზახებით და თავის დანარჩენ მშიერ ჯარით საჩქაროდ მიატოვა ბასმინჯა და თეირანისაკენ წავიდა. დაითხოვეს შუჯაუდ-დოულეს ჯარი; თვითონ შუჯაუდ-დოულე მარაგაში წავიდა. ამრიგად თავრიზს ალყა მოხსნეს. თავრიზს ალყა 10 თვე ჰქონდა შემორტყმული. თუმცა შაჰმა კონსტიტუცია აღადგინა და პოლიტიკური ამნისტია გამოაცხადა, მაგრამ ფიდაებს, კავკასიელების შთაგონებით, აზრადაც არა აქვთ დაჰყარონ იარაღი.

**ჯულფა.** თავრიზსა და ურმიიის ტბის აღმოსავლეთ ნაპირებიდან მოსულების სიტყვით, ურმია ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. სწორედ თვე ნახევარია, რაც ურმია ყველაფერს მოწყვეტილია.

**თეირანი.** რევოლიუციონერების აზრით, საჭირო არ არის საარჩევნო კანონის შემუშავება. ისინი თხოულობენ, რომ აღდგენილი იქნას წინანდელი მეჯლისი ძველის დეპუტატებით.

გამოვიდა პროკლამაცია, რომელიც ხალხს შაჰის, მოლლების და სასახლის მოხელეების მოკვლას ურჩევენ. პროკლამაციაში ნათქვამია, 10 ივლისის მსხვერპლი უნდა ავინაზღაუროთ, შური ვიძიოთო. ხელახლად იკრიბებიან ენჯუმენები. აგიტატორები ჰქადაგობენ, რომ შაჰს ნურაფერს დაუჯერებთო. ითხოვენ ბაგადურ-ჯენგის გაძევებას.

## საზღვარ-გარედ.

**სტრასბურგი.** როდესაც პროვინციალურმა კომიტეტმა განიხილა წინადადება ელზას-ლორენის სკოლებში ფრანგულად სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ, სტატს-სეკრეტარმა ცორნმა, მთავრობის სახელით, განაცხადა: მთავრობა სასარგებლოდა სცნობს საზღვარზე მდებარე ადგილების სახალხო სკოლებში ფრანგულ ენაზე სწავლებას, თუმცა საზღვარს იქით (ვითომ საფრანგეთში) გერმანულ ენას არ ასწავლიან, მაგრამ მთავრობას უსამართლოდ მიაჩნია, მთელი ელზას-ლორენი მოსამზღვრე პროვინციად ჩაითვალოს. ამიტომაც საჭირო არ არის ყველგან ფრანგულის სწავლება სავალდებულო იყოს. მთავრობა უოველის ძალღონით ეცდება უპირატესობა არ მისცეს ფრანგულ ენას იქ, სადაც გაბატონებულია გერმანულით. წინადადება გადაეცა სპეციალურ კომისიას,

**პარიზი.** 29 აპრილს გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე წინა დღეს. მთავარ ტელეგრაფში მთელი დღე მუშაობა ჩვეულებრივად სწარმოებდა. მთელი დღე ტელეგრაფიც მუშაობდა და ტელეფონიცა. პოლიციას საბუთი არა ჰქონდა ჩარეულიყო საქმეში, ვინაიდან ყველაფერი წესიერად სწარმოებდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ გაფიცვა ვერ მოხდებოდა. ფოსტა-ტელეგრაფის ზოგიერთმა მოხელემ განაცხადა, რომ გაფიცვაში ვერ მივიღებთ მონაწილეობას იმიტომ, რომ პოლიტიკური სარჩული უდევსო.

ფოსტა-ტელეგრაფის სტატს-სეკრეტარის ამხანაგის სიმიანის განცხადებით, 29 აპრილს 12,000 მოხელიდან მხოლოდ 465 მოხელე არ გამოცხადებულა სამუშაოდაო.

მინისტრთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე, ბარტუს წინადადებით, გადასწყდა—221 მოხელე დაითხოვონ სამსახურიდან. ბარტუს სიტყვით, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა და სამსახური წესიერად სწარმოებს. კაბინეტის წევრებმა თავ-თავიანთი აზრი გამოსთქვეს მოხელეთა სტატუტის შესახებ. იუსტიციის მინისტრმა ბრიანმა სთქვა, შაბათს წარუდგენ კაბინეტს პროექტს, რომელიც ორშაბათს გადაეცემა დეპუტატთა პალატის კომისიასაო.

600 ფოსტის მოსამსახურემ სადამოთი გამართა კრება, რომელზედაც მიიღეს რეზოლუცია—ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ ის, რასაც ვთხოულობთო. კრებამ ამას გარდა დაადგინა, ეცადოს ხელი შეუწყოს გაფიცვას.

ღამე მოხდა რადიკალებისა და სოციალისტების პარტიათა აღმასრულებელ კომიტეტების სხდომა. მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს გაფიცვას. პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციას დაევალა, გაფიცვის გათავების შემდეგ შეკითხვაში ხაზ-გასმით აღიარონ, რომ საზოგადო პოლიტიკის საკითხებში პარტია წინააღმდეგია დღევანდელ სამინისტროსი, რომლის მართვა-გამგეობა სრულიად ეწინააღმდეგება პარტიის ტრადიციებსაო.

**ბრიუსელი.** გაზეთების ცნობით, 28 აპრილს ლევანეს ქუჩაზე, უნივერსიტეტის საიუბილეო დღესასწაულის გათავების შემდეგ მოხდა შეტაკება ვალონელებსა და ფლანდრელ სტუდენტებს შორის. პოლიცია ჩაერია საქმეში და იძულებული შეიქმნა იარაღი ეხმარა. რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა.

**ბერლინი.** ბერლინის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ რომიდან, რომ იტალიის ნაღმოსანი გემი „ნემბო“ დაეჯახა გერმანიის იმპერატორის იახტას „ჰოჰენცოლერნს“. „ნემბო“ დაზიანდა.

**პარიზი.** ფოსტის სხვა და სხვა განყოფილებაში 30 აპრილს დილით იმდენივე მოსამსახურე გამოცხადდა, რამდენიც გუშინ. ლიონშიაც ყველა იყო. ბორდოში საქმე გამწვავდა—თითქმის ყველა ტელეგრაფისტები გამოცხადნენ ხელასლა სამსახურში.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა კვლავ შეუდგა ბიუჯეტის განხილვას. განსახილველია მთავრობის წინადადება საადგილ-მამულო გადასახადის გადიდების შესახებ. კამათის დროს ხაზინის სტატს-სეკრეტარმა პასუხი გასცა ოპოზიციის კრიტიკას. დასასრულ წინადადება შეიტანა, შესწყდეს კამათი. ეს წინადადება მიიღეს 196 ხმით 120 ხმის წინააღმდეგ. ოპოზიციამ ძლიერი პროტესტი განაცხადა ამაზე. ამის შემდეგ (330 ხმით წინააღმდეგ 120 ხმისა) ეს პროექტი მიღებულ იქმნა.

**ინსბრუკი.** 29 აპრილს ღამე მეტად ძლიერი მიწის ძვრა მოხდა მდინარე ინოს ხეობა ზევითა ნაწილში. მიწის ძვრამ რამდენიმე წამს გასტანა. დედამიწიდან საშინელი გუგუნი ისმოდა.

## რუსეთი

**რიგა.** ლატიშების თეატრში, წარმოდგენის დროს, დააპატიმრეს 3 კაცი, რომელთაც მკვლელობას აბრალებენ. ერთმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, დაიწყო რევოლვერის სროლა და ქუჩაში ისე გავარდა, აქ პოლიციელებმა დასჭრეს და იარაღი აჰყარეს. დანარჩენ ორს უპოვნეს რევოლვერები და პატრონები. წარმოდგენა არ შეწყვეტილა. დაპატიმრებულნი გამოტყდნენ, მკვლელობა ჩვენ ჩავიდინეთო.

**პეტერბურგი.** ნაშუადღევის 3 საათზე სენატმა გამოაცხადა განაჩენი ლოპუხინის საქმის შესახებ. ამ განაჩენით, დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ლოპუხინი დამნაშავედ არის ცნობილი და მიესაჯა 5 წლით კატორგა. განაჩენი ხელმწიფე-იმპერატორს უნდა წარედგინოს. სენატმა არ შეიწყნარა ლოპუხინის შუამდგომლობა. ლოპუხინი თხოულობდა, თავმდებობით გამანთავისუფლეთო.

**მოსკოვი.** ცვეტკოვმა ქალაქ მოსკოვს შესწირა სახლი და სურათების გალერეა. ცვეტკოვის შეწირულებას მილიონ მანეთად აფასებენ.

მოსკოვის სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა განაჩენი მოსკოვის სოც.-დემოკრატების საოლქო ორგანიზაციის შესახებ. სამართალში მიცემული იყო 39 კაცი. გადაუწყვიტეს: 18 გადასახლება, 15 ციხე, 2 სატუსაღო; ერთი განაჩენის გამოცხადების წინ გაიქცა. 3 კაცი გაამართლეს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ახალი ამხანაგობა.** ქობულეთში შემდგარა ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს ხილეულობისა და მწვანილეულობის გატანა საზღვარ-გარეთის, რუსეთის და კავკასიის ბაზრებზე. ამხანაგობას ამისათვის საზღვარ-გარეთიდან გამოუწერია სახმობი მანქანები. ამ რამდენიმე დღის წინად ამხანაგობამ ტფილისიდან დაიბარა ამ საქმის მცოდნე, ტფ. საბაღოსნო სკოლის გამგე ბ-ნი მელია, რომელმაც ამხანაგობისთვის ლექციაში წაიკითხა და გააცნო, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე. ამხანაგობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სთხოვს, რამდენიმე დღით მელია გაანთავისუფლოს. ამხანაგობას უნდა, ბ-ნი მელია დაეხმაროს ამ საქმის მოწყობაში. ამხანაგობისათვის უკვე შეუკვეთნიათ 2000 მან. გამხმარი ხილი.

✦ **მინისტრის პასუხი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა პასუხი გზათა მინისტრისა იმ მოხსენებაზე, რომელიც ქალაქის თავმა ტფილისში ყოფნის დროს მინისტრს წარუდგინა. გზათა მინისტრი ატყობინებს, რომ ნაძალადევსა და ქალაქის შესაერთებლად ლიანდაგზე საეტლე ხიდის გაკეთებას 200,000 მანეთი დასჭირდება და რადგან ხაზინას ამისთვის თავისუფალი თანხა არა აქვს, ამიტომ ამ საქმის განხორციელება შემდეგისთვის გადიდოს. ტფილისის საზღვრებში რკინის გზის ლიანდაგზე რამდენსამე ადგილას ხიდის გაკეთების და მაღაროს გაყვანის შესახებაც მინისტრი იტყობინება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზას ხიდებისა და მაღაროების გამართვა აუცილებელ საჭიროებად არ მიაჩნდა და ამიტომ ეს საქმეც შემდეგისთვის გადაიდო. რაც შეეხება ქალაქის იმ მიწების შეფასებას, რომელიც გადაეცა რკინის გზის სამართველოს, მინისტრი იწერება, ჩამორთმეულ მიწების შეფასება დაგვიანდა დამფასებელ კომისიის მიზეზით, რომლის წევრებადაც ქალაქის წარმომადგენელნიც არიანო. ქალაქის გამგეობამ

„დროების“ ხვალინდელ „სურათებიან დამატების“ შინაარსი: [illegible] ტუ-მეგრელისა, დ. თომაშვილისა, გოგია უიშვილისა, [illegible] გრიშაშვილისა; „ის [illegible] ყვის“, მოთხრობა, თარგმ. ნიკო ახლამაზიშვილისა და წვრილი ამბები; სურათები: „აპოლონ ბელვედერისა“, „აბმედ-რიზა და ახალგაზრდა ოსმალთა აფიცრები“. ბახტიარების ხანი სამ-სამელ სალტანე და კარიკატურა.

---

ქვის ამოვარდნის პირს მიმდგარი პატარა ირლანდია სულს იდგავდა საქონლის და ფრინველის მოშენებით გაჰქონდა ინგლისში კარაქი, ხორცი, კვერცხი. მაგრამ ანდაზისა არ იყოს—„საწყალ კაცს, ქვა აღმართში წამოეწევაო“, დანიის საუცხოვო საქონელმა ეს უკანასკნელი ლუკმაც გააგდებინა ხელიდან ბეჩავ ირლანდიელს. გაუჭირდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ იძულებული იყო თავისი საუკეთესო საქონელი დანიურ საქონლის სახელით გაესაღებინა; ცუდი ხომ ირლანდიური გამოდგა. გამწარდა გლეხობა, მაგრამ მაინც არ გატყდა! მშველელებიც აღმოუჩნდნენ. რაკი გაიგო რის მეოხებით სჩაგრავდა მას ბაზარზე დანიელი გლეხი, თითონაც ის ხერხი იხმარა: შეუამხანაგდა თავისავით გაჭირვებულ მეზობლებს და, ანდაზისა არ იყოს, „ცვარი ცვარსა ჰკარ, ზღვად იქცევაო“, ისეთი ძალა მოიპოვა, რომ დანიის საქონლისა მას ეხლა სრულიადაც არ ეშინიან. ამხანაგობამ იხსნა, ის აძლევს ეხლა ძალას; მომავალი ულიმის „ზურმუხტ კუნძულის (ასე ეძახიან ირლანდიას) მცხოვრებს—ირლანდიელ გლეხს და აკი გულ-გაკეთებული მუშაობს მუყაითად.

პირველი ამხანაგობა ირლანდიაში დაარსდა ცხრამეტი წლის წინად, 1890 წელს. ამხანაგობამ რძიდან კარაქის დამზადება იწყო. 1906 წელს უკვე 331 ამისთანა ამხანაგობა იყო, წევრი ჰყავდა 42,786. ფრინველის მოსაშენებელი და საკვერცხე ამხანაგობა იყო 25, წევრი—5049.

* * *

გერმანიის მთელი გლეხობა მევახშეთა კლანჭებში იყო. რასაც გლეღოიპირნახულებდა, ყველაფერი მევახშეს მიჰქონდა. თითქოს არც ხსნა იყო სადმე. მაგრამ გაჭირვებამ აქაც გამოსახვინა საშუალება თავის დასახსნელად.

ჯერ შულცე-დელიჩელმა, შემდგომ კი რეიფფეიზენმა იწყო გლეხობაში ლაპარაკი საამხანაგო კასსების (გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა) დაარსების საჭიროებაზე. აი რაშია საქმე: რამდენიმე მეურნე გლეხი, რომელნიც ერთმანეთს კარგად იცნობენ, ჩვეულებრივ ერთი სოფლის მცხოვრებნი, ზიარდება, ამხანაგდება. თითოს ცალკცალკე თუ არავინ გაანდობდა ფულს, რამდენიმე დაზიარებულ მეურნე-გლეხს ყველა ასესხებს საჭირო თანხას, რადგან ამხანაგობის წევრნი უეჭველად დაუბრუნებენ ნასესხებ ფულს. „ერთი კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო“. სოფლის მეურნეობაში ხომ უფრო საცოდავია, გარშემო ათასი გაჭირვება ახვევია, ათასი მტერი ჰყავს. რამე უბედურობა რომ დაემართოს, პატრონი და პასუხისმგებელი მარტო თითონ არის. რაკი დაზარდება, პირობას დასდებს სხვა მეუნეებთან, საქმე ძირიან-ფესვიანად იცვლება: ამხანაგობის დაზარებულ წევრს რომ რამე ხიფათი შეემთხვეს, დანარჩენნი წევრნი მუდამ მიეშველებიან და გაჭირვებიდან იხსნიან. ამხანაგობაში ერთი პირი აქვთ, ერთი-ერთმანეთს შველიან, ესარჩლებიან. ამხანაგობაზე ან იმის წევრზე გასესხებული ფული არასოდეს არ დაიკარგება, რადგან ყველანი აგებენ პასუხს თავიანთ ქონებით. რასაკვირველია, ფულიანი კაცი მუდამ გაანდობს ამხანაგობას ფულს, მით უმეტეს, რომ ამხანაგობაში მხოლოდ სანდო, მუშაკი კაცი მიიღება. ამხანაგობა ნასესხებ ფულს თავის გაჭირვებულ წევრს აძლევს სარგებლით და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იცის, რომ წევრზე გასესხებული ფული მასაც ახეირებს და ამხანაგობასაც.

თავდაპირველად გლეხობას უსაფუძვლოდ ეშინოდა ქონებრივ პასუხისმგებლობისა, მაგრამ რაკი გაჭირვებამ არ იკლო და ისიც დაინახა, რომ მარტოკა ვერას გახდებოდა, დაიწყო ამხანაგობათა დაარსება.

რაკი მევახშის კლანჭებს დააღწია თავი და საჭირო ფულიც იშოვა, შეუდგა თავის მეურნეობის წარმატებას—გარემოება საჭიროებდა: წინად თუ თავის მამა-პაპურ გუთნით აჩიჩავდა მიწას, ეხლა საუკეთესო იარაღი იყო საჭირო ახალი რკინის გუთანი, ფარცხი, საგანგებო სათესი მანქანა. სასუქი ხომ აუცილებელი იყო გამოფიტულ მიწისთვის. ნამგალ-ცელის მაგივრად საჭირო შეიქნა სათიბ და სამკალ მანქანების შეძენა მერე სალეწი და სანიავებელი მანქანები იყო საჭირო მაგრამ ყველა ამის ყიდვას ცოდნა უნდა, მეტადრე ხელოვნურ სასუქის ყიდვის დროს დიდი სიფრთხილე მმართებს კაცს, რადგან ნასწავლ კაცსაც გაუჭირდება მისი სიავ-კარგის გამოცნობა აი სწორედ აქ ატყუებდნენ უწყალოდ გერმანელ გლეხს. მაგრამ არ გატყდა, რაკი იგემა და შეიგნო დაზიარების, ამხანაგობის ძალა, ამ ჭირსაც ადვილად მოუარა. დაიარსა საქონლის და იარაღის სასყიდლად საგანგებო ამხანაგობანი. ამავე ამხანაგობათა საშუალებით ჰყიდიდა თავის მიერ ნაწარმოებ საქონელს — პურს, ქათამს, კვერცხს, ღვინოს და სხვას. შემდეგში, როცა ბლომად გაიხსნა ამისთანა ამხანაგობა, მათ ერთმანეთში კავშირი შეჰკრეს. ამის შემდეგ უფრო გაიჩარხა საქმე. აი როგორ მატულობდა ამხანაგობათა რიცხვი გერმანიაში:

| | | | | სასოფლო |
|---|---|---|---|---|
| 1890 | წელს | იყო | 3.006 | ამხანაგობა: |
| 1892 | „ | „ | 4.374 | „ |
| 1894 | „ | „ | 6.031 | „ |
| 1896 | „ | „ | 8.986 | „ |
| 1898 | „ | „ | 11.839 | „ |
| 1900 | „ | „ | 14.636 | „ |
| 1904 | „ | „ | 18.309 | „ |
| 1905 | „ | „ | 19.323 | „ |

ამ ამხანაგობებში სულ იყო 1905 წელს 1.700 ათასი წევრი, აქედან 1.200 ათასი მეურნე. სულ კი გერმანიაში 1895 წელს, ალხთა აღწერის ცნობებით, იყო 2,566 ათასი მეურნე, მაშასადამე, მთელ გერმანიის მეურნეთა ნახევარზე მეტი ამხანაგობებით იყო დაკავშირებული.

რას აკეთებენ ეს ამხანაგობანი? ამასაც მოგახსენებთ. თანამედროვე სოფლის მეურნეობა საჭიროებს ძვირფასს მანქანებს, მაგ., ისეთ პურის-სალეწ მანქანას, რომელიც პურსაც ლეწავდეს, ანიავებდეს კიდეც და მარცვალსაც რამდენსამე ხარისხადა ჰყოფდეს. ამისთანა რჩეულ პურს ბაზარში უფრო ყიდულობენ ვაჭრები. ამისთანა მანქანა კი ძალიან ძვირია და ერთს კაცს მისი შეძენა გაუჭირდება. ამ შემთხვევაში რამდენიმე მეურნე ზიარდება, ყიდულობენ საზიაროდ მანქანას და რიგრიგად სარგებლობენ. მარტო ერთ ბავარიაში (გერმანიის ნაწილია) 1902 წელს იყო 683 „სალეწი ამხანაგობა“, რომელთაც ჰყავდათ 16 ათასი წევრი.

გერმანიაში ისეთი ამხანაგობებიც არსებობს, რომელნიც მიწას ორთქლის გუთნით ამუშავებენ. ამისთანა ამხანაგობა, მთავრობის ცნობებით, მთელ გერმანიაში თვრამეტია. რამდენია ახლა ისეთი ამხანაგობა, რომელთა შესახებაც მთავრობას ცნობა არა აქვს! ზოგიერთი შემნახველ-გამსესხებელი ან გამსაღებელი ამხანაგობანიც ყიდულობს ძვირფას მანქანებს და თავის წევრებზე აქირავებს მცირე ფასად.

საქონლის მომშენებელი ამხანაგობანიც არსებობენ გერმანიაში. ამხანაგობის წევრნი საზიაროდ ყიდულობენ საუკეთესო ჯიშის ბუღებს, მათ შთამომავლობის დავთარს აწარმოებენ, საუკეთესო საქონლის გამოფენას მართავენ და ჯილდოს აძლევენ კარგ საქონლის პატრონს. დიდი წარმატება დაეტყო ამხანაგობებს, როცა ამგვარი ამხანაგობანი შეერთდნენ და ერთმანეთში კავშირი დასდეს. ყველა გამოფენაზე საუკეთესო საქონლი სულ ამგვარ ამხანაგობის წევრებისაა. 1905 წელს მიუნხენის მოძრავ გამოფენაზე დაჯილდოვებულ პირუტყვების ოთხი მეხუთედი ამხანაგობის წევრ-გლეხებს ეკუთვნოდათ. მარტო პატარა ბავარიაში 657 ამისთანა „საქონლის მომშენებელი“ ამხანაგობაა.

სამხრეთ გერმანიაში ძალიან მისდევენ მეღვინეობა-მევენახეობა. დიდ გაჭირვებას განიცდიდა მევენახე, მაგრამ საერთო შრომით გლეხობამ ამ ჭირსაც მოუარა. იქაურ გლეხებს ცოტა მიწა აქვთ, არც თუ შეძლებულნი არიან, ღვინით წარმოება კი დიდ თანხას თხოულობს. საჭირო იყო წმალი, ჭურჭელი, იარაღი, კარგი მარანი. შეამხანაგებულმა გლეხებმა საზიაროდ გამართეს საუკეთესო მარანი, სადაც მიაქვთ ვენახიდან მოკრეფილი ყურძენი. ამ ყურძენს ხარისხზე არჩევენ და ნასწავლ კაცის ხელმძღვანელობით ამზადებენ ღვინოს, ღვინოს საზიარო მარანში ასხავენ და იქ ინახავენ იმ დრომდე, ვიდრე დადგებოდეს ღვინო მერე კი ჰყიდიან კაი-ფასებში, ვაჭრებიც დიდის ხალისით ყიდულობენ ღვინოს, რადგან იგი ერთნაირია, ერთგვარად მომზადებული და ბლომად ამ ბოლო დროს მუშტრებში მომხმარებელ საზოგადოებანიც გამოერივნენ. გაყიდულ ღვინით აღებულ ფულს, ხარჯის გასტუმრების შემდეგ, ამხანაგები ერთმანეთში ინაწილებენ ამხანაგობაში ჩაბარებულ ყურძნის ოდენობა-ღირსების შესაფერად. მაგრამ გლეხს არ შეუძლიან მოცდა, მას ფული შემოდგომაზევე უჭირს, ამიტომ ამხანაგობა საჭირო თანხას წინდაწინვე აძლევს. ამისთანა ამხანაგობა გერმანიაში ამ ჟამად 174-ია.

პურის ვაჭრობაც მოაწყეს გერმანელმა გლეხებმა, მათ გამართეს საზიარო ბეღლები და მოაწყეს საჭირო და საუკეთესო იარაღ-მანქანებით. მოტანილ პურს მანქანებით არჩევენ; ერთგვარ საქონელს ამზადებენ და მერე, როცა კაი მაზანდაა. ჰყიდიან. 1904 წელს ბავარიაში უკვე 105 საზიარო ბეღელი იყო ამ ბეღლებიდან გაიყიდა 3 მილიონ ფუთამდე ხორბალი!

ასე გამოაკეთა ამხანაგობამ გერმანიის გლეხობის გაჭირვებული საქმე.

* * *

საფრანგეთშიაც მოიკიდა ფეხი ამხანაგობამ. იქ ძალიან გავრცელებულია საამხანაგოდ, საზიაროდ მანქანა-იარაღების ყიდვა. ყიდულობენ სამკალ და სათიბ მანქანებს, საუკეთესო საქაჯავებს ღვინის დასაწურავად, სათეს და სალეწ მანქანებს და და სხვა იარაღს. აქირავებენ თავიანთ წევრებზე ან ფასით ან უფასოდ. სასოფლო სამეურნეო ამხანაგობები და კავშირი 1907 წელს იყო 6500, საკრედიტო ამხანაგობა—2000, დამზღვევი ამხანაგობა 8000. სულ 6,500 ამხანაგობა.

აბა ასეთი სამსახური გაუწია ევროპიელ ამხანაგობამ. დღეს ეს გლეხი ზურგ-გამაგრებულია, და შიში აღარავი-სა აქვს.

ჩვენშიაც შეიძლება ამხანაგობების დაარსება და გაჭირვებიდან თავის დახსნა. საჭიროა ცოტაოდენი მხნეობა და სურვილი როგორ უნდა დაარსება ამხანაგობებისა ჩვენში, ამასაც ამ მოკლე ხანში მოგახსენებთ.

ე. კარბელაშვილი.

მხედველობაში მიიღო მინისტრის პასუხი და მიწების შეფასების დაჩქარების შესახებ დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორს, დაეხმაროს მიწების დაფასების დამთავრებაში.

✦ **წვრილი ვაჭრები**. 30 აპრილს, მოხდა ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოების მთავარ კამიტეტის სხდომა. თათბირი იყო საუბნო კომიტეტების არჩევაზე. დაადგინეს, შეუდგნენ უბნებში კრებების გამართვას კომიტეტების წევრთა ასარჩევად. რადგან ყველა უბანში ბინის დაქირავება და საქმის წარმოება ბევრს ხარჯს მოითხოვს, მთავარმა კომიტეტმა დაადგინა, უბნის კომიტეტები საქმეთა განსახილველად მთავარ კომიტეტის ბინაზე შეიკრიბნენ ხოლმე. მთავარ კომიტეტს ბევრი საქმე აქვს სასამართლოში საწარმოებელი და ყოველთვის ვექილის მოწვევა დიდ ხარჯს ითხოვს. კომიტეტმა დაადგინა, მიიწვიოს იურისკონსულტი. იურისკონსულტს გასამრჯელოდ მიეცემა 10% მის მიერ მოგებულ საქმისა.

✦ **სახალხო თეატრი**. მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, საღამოს რვა საათისთვის, ზუბალაშვილის სახალხო თეატრში დანიშნულია იაფფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენას გამართავს ქართული სახალხო სათეატრო სექცია სცენის მოყვარეთა დახმარებით. წარმოადგენენ სამ-მოქმედებიან კომედიას „პედაგოგები."

✦ **კურსები ხელოსანთათვის**. მთავრობას განუზრახავს, დაარსოს ტფილისში კურსები ხელოსანთათვის. კანონ-პროექტი ამის შესახებ სათათბირომ 30 აპრილს მიიღო. კურსებისთვის წელიწადში გადაიდება 1500 მანეთი. კურსები გაიხსნება შემოდგომაზე.

✦ **ყალბი ბილეთები**. 25 აპრილს ტფილისის სასამართლოს პალატამ გაარჩია საქმე რკინის გზის ყალბ ბილეთების დამზადებისა და განაღდების შესახებ. ეს საქმე პირველად გაარჩია ტფ. ოლქის სასამართლომ. ბრალდებულნი იხილჩუკი, ივანე ბობროვი, პავლე ჩიხლაძე, იოსებ ფირალოვი, ერმალოზ ხავთასი, სიმონ ლალიევი და სხვანი ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო. ზოგმა ამათგანმა, თანახმად საბრალმდებლო ოქმისა, დაამზადეს ყალბი ბილეთები, ხოლო დანარჩენებმა გაავრცელეს, გაანაღდეს ან ხელი შეუწყეს განაღდებას. ამიტომ ოლქის სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულთ სხვა და სხვა სასჯელი ღირსება უპირატესობის ჩამორთმევით და ხაზინის სასარგებლოდ 8000 მანეთის გადახდით. ეს განაჩენი განასაჩივრეს სამოსამართლო პალატაში და 25 აპრილს გაირჩა კიდეც ეს საქმე. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილები სტალინსკი, გრუზენბერგი, ბახუტაშვილი და სხვანი. საქმის გარჩევამ ორ დღეს გასტანა. 26 აპრილს გამოაცხადეს განაჩენი, რომლითაც ბრალდებული ერმოლოზ ხავთასი გაამართლეს, ხოლო ორი წინად გამართლებული დამნაშავედ იცნეს და ერთი წლის საპყრობილე მიუსაჯეს. სხვა დამნაშავეთა შესახებ პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ **სახალხო კითხვები**. 2 მაისს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ბავშვებისათვის გაიმართება სახალხო კითხვები. ქ-ნი ტიხომიროვისა ნაშუადღევის 4 საათზე წაიკითხავს რუსულად ზღაპარს „ვანია და მიშა"-ს, ხოლო შმიდტი—„პირველ უბედურება"-ს. ამავე საზოგადოების დარბაზში კვირას, 3 მაისს, დილის 11 საათზე ბ-ნი განდემიანი წაიკითხავს სომხურად „იაშას", ქართულად ქ-ნი ნასიძე (ნაშუადღევის $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ ს.)—„წაღებიანი კატა"-ს ქ-ნი ელიავა—ანდერსენის „ალ"-ს. კვირას, საღამოს 5 საათზე, ექიმი მუხარინსკი წაიკითხავს მოზრდილთათვის სახადზე.

✦ **არმავირ-თუაფსეს რკინის გზა**. არმავირ-თუაფსეს რკინის გზის კონცესიონერებს 30 აპრილს გასვლიათ კონცესიის ვადა: „კასპის" სიტყვით, კონცესიონერებს შუამდგომლობა აღუძრავთ კონცესიის ვადის გადადების შესახებ.

✦ **დეპუტატი რამიშვილი**. როგორც ვწერდით, დეპუტატ რამიშვილის შვილებმა სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ, რომ მამა ჩვენს ნება მისცენ საზღვარ-გარეთ წასვლისაო. ფრაქციას უკვე აღუძრავს შუამდგომლობა. „კასპის" სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს კურლოვს დეპუტატ ბობრინსკისა და აჯემოვისთვის უთქვამს, რამიშვილს იმ შემთხვევაში მივცემთ საზღვარ-გარეთ წასვლის ნებას, თუ დაამტკიცებს, რომ მას ტერორისტული აქტები არ ჩაუდენიაო.

✦ **„ფუნიკულერის" საქმე**. 1907 წელს ძმებმა არზუმანოვებმა „ფუნიკულერის" სააქციონერო საზოგადოებას უჩივლეს, საზოგადოებამ ჩვენ ადგილას გაიყვანა ფუნიკულერი და შენობები ააგოო. არზუმანოვები სწერენ, მამული მარტო რობის (ამან მიჰყიდა) კი არ ეკუთვნოდა, არამედ ჩვენც და მას უფლება არა ჰქონდა ჩვენ დაუკითხავად გაეყიდნა საერთო ადგილიო. ტფ. ოლქის სასამართლომ ძმები არზუმანოვების საჩივარი (40 ათასი მანეთი) დააკმაყოფილა. „ფუნიკულერმა" პალატაში განასაჩივრა განაჩენი. პალატამ არ დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი და არზუმანოვებს უარი უთხრა 40,000 მანეთზე. არზუმანოვებმა ეს საქმე სენატში გადაიტანეს, მაგრამ სენატმაც არ შეიწყნარა მათი საჩივარი და პალატის გადაწყვეტილება დაამტკიცა. ამრაგად არზუმანოვებმა წააგეს საქმე. „ფუნიკულერის" საზოგადოება საჩივრამდე 30 ათას მანეთს აძლევდა არზუმანოვებს, მაგრამ მათ უარი სთქვეს.

✦ **სასამართლოში**. ამ დღეებში კავკასიის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე ძმების პართენ და ბაგრატ მახარობლიშვილებისა და სოგადაშვილისა. სასამართლომ პართენ მახარობლიშვილს გადაუწყვიტა 15 წლის, ბაგრატ მახარობლიშვილს უვადო კატორღა, ხოლო სადაგაშვილი გაამართლა. მახარობლიშვილებს ბრალდებოდათ სიღნაღის მცხოვრების საფაროვის მოკვლა, სადაგაშვილს მოკლულ საფაროვის საათის დამალვა.

✦ **დაპატიმრება**. 30 აპრილს გაჩხრიკეს მალაკნისა და ავჭალის ქუჩები და 14 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს. იმავე დღეს ოლგას ქუჩაზე დააპატიმრეს 5 კაცი.

✦ **გარდაცვალება**. ამ რამდენიმე დღის წინად ტფილისში დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავკასიის საცენზურო კომიტეტის წევრი გრიგორ კარახანოვი. კარახანოვი 15 წლის განმავლობაში ადგილობრივ ენების უფროსს ცენზურა იყო.

✦ **სემინარიის ახალი შენობ.** უკვე ვწერდით, რომ საპატიმროთა სამართველოს აზრადა აქვს შეიძინოს სემინარიის ახალი შენობა ვერაზე. როგორც დანამდვილებით ვიცით, საპატიმროთა კომიტეტს გადაუწყვეტია, დააქციოს საგუბერნიო საპატიმროს ეხლანდელი შენობა ორთაჭალაში და ახალი ააგოს-

✦ **სიკვდილით დასჯის განაჩენი**. 29 მარტს კავკასიის სამხედრო სასამართლოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია აბდურახმანა-ბახშიოღლის, ასტანა-აბდულა-ოღლის და მუსაკერიმ-ოღლისათვის. ამათ ბრალდებოდათ ყაზახის სამაზრო ბოქაულის მოკვლის განზრახვა.

✦ **შავროვი**. „კავკაზ"-ის ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილია: უმაღლესის ბრძანებით, მიწათ-მოქმედების მთავარმართველის საგანგებო საქმეთა მოხელე შავროვი დაინიშნა გადასახლების სამმართველოს საგანგებო საქმეთა მოხელედ.

# უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

### არეულობა ალბანიაში.

„გოლ. მოსკვი"-ს სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება: ალბანიაში თან და თან ძლიერდება არეულობა. ჩრდილოეთ ალბანიაში აჯანყებულმა ალბანელებმა 36 აფიცერი აიძულეს თავიანთ ადგილები მიეტოვებინათ. რადგან ტელეგრაფიც აჯანყებულებს ჩაეგდოთ ხელში, აფიცრები თითონ წავიდნენ ქალ. უსკუბში და ეს ამბავი შეატყობინებს უფროსებს. ალბანელები სრულ ავტონომიას თხოულობენ ალბანიისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო აჯანყებას მოვახდენთო".

სხვა კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ალბანელები ავტონომიას კი არა, შარიატის დაცვას თხოულობენო.

### არეულობა სულეიმანიეში

ნამდვილად შეიტყვეს, რომ, მოსულის ვილაეთში, ქალ. სულეიმანიეში არეულობა მოუხდენია ადგილობრივ მაზრის უფროსს წრეგადასულ რეაქციონერს. დაატუსაღეს იგი თუ არა და მაშინვე მოისპო უწესოება. სულეიმანიეში უკვე გააუქმეს სამხედრო წესები.

### ახალი სულთანი და ახალგაზდა ოსმალები.

ახალგაზდა ოსმალთა წრეები უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომ ახალ სულთანს მასთან უთანხმოება მოსვლოდეს აფიცერთა მკვლელის სიკვდილით დასჯის გამო. პირიქით, სულთანსა და ახალგაზდა ოსმალებს შორის სრული თანხმობაა ამ საქმეში. მაჰმად მეხუთე თანახმაა, რომ უმთავრეს დამნაშავეებს გარდა, სხვა დამნაშავეებიც დაისაჯნენ სიკვდილით. სულთანის პატივის უფლება არავის დაურღვევიაო.

### რუსეთი ჯარს აგროვებს ოსმალეთის საზღვარზე.

„კასპი"-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: „ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო შეეკითხა რუსეთის მთავრობას, ჯარს რად აგროვებთ ოსმალეთის საზღვარზეო".

### რა ღირს ილდიზში ნაპოვნი განძი.

ირწმუნებიან, რომ ილდიზ-კიოსკში ნაპოვნი განძი სულ 250 მილიონ გირვანქა (2400 მილიონ მანეთამდე) დააფასესო. აუარებელ ფულით ოსმალეთის მთავრობა სახელმწიფო ვალსაც მოიშორებს და საჯარო გზებსაც გაიყვანს. („კ.")

### მეოთხე კორპუსი.

ხმა დადის, რომ მეოთხე კორპუსი აბდულ-ჰამიდს მიემხრო და არზრუმიდან სტამბოლისკენ გაემართაო.

ალბანელთა მეთაურმა ალი-ქემალმა ხუთი ათასი თოფი იყიდა საბერძნეთში და გაუგზავნა ალბანელებს, რომლებიც თხოულობენ დაუყოვნებლივ ავტონომია მიეცეს ალბანიასაო.

### ოსმანის ხმლის შემორტყმა.

დეპეშიდან ვიცით, რომ ახალ სულთანს ამ დღეებში ოსმანის ხმალი შემოარტყეს- ეს ცერემონია, რომელიც უდრის ევროპის ხელმწიფეების გვირგვინის კურთხევას, ამნაირად ხდება ხოლმე. ახალი სულთანი ამალით მშვენივრად მორთულ ნავებით მიდის მაჰმადის ნაშთის თაყვანისსაცემლად გიუბის საფლავზე, რომელიც მდებარეობს ოქროს რქის მთაზე, სტამბოლის შესავლის წინ. ამ სასაფლაოს მუსულმანები უწმიდეს ადგილად სთვლიან ევროპაში. იქიდან სულთანი მიდის აია სოფიოს მეჩითში, იქ კითხულობს ყორანიდან „ფატისას" ლოცვას, რის შემდეგ დერვიშების „მევლევის" (ეგრედ წოდებულ „მოცეკვავე დერვიშების") ორდენის უფროსი სულთანს შემოარტყამს ეხლანდელ დინასტიის დამაარსებელ სულთან ოსმანის ხმალსა; ამ დროს ახალი სულთანი ფიცსა სდებს, რომ იგი ხმლით დაიცავს ყველაფერს, რაც კი ხმლით აქვს დაპყრობილი ისლამს.

აბდულ-ჰამიდის წინამოადგილეს მის ძმას სულთან მურად მეხუთეს სულ არ შემოურტყამ ოსმანის ხმალი, რადგან იგი მალე ჩამოაგდეს ტახტიდან.

აბდულ-ჰამიდსაც არ შეუსრულებია ეს ცერემონია, რადგან იგი თავის სნეულ ძმის სიცოცხლის დროს (მურადი მოკვდა 1904 წელს). უფრო რეგენტად ითვლებოდა, ხოლო მურადის გარდაცვალების შემდეგ ვერავინ ვერ გაბედა და ვერ გაახსენა წითელ სულთანს, რომ ეს ცერემონია შეესრულებინა, და აბდულ-ჰამიდმა ისე გაათავა თავისი მეფობა, რომ ოსმანის ხმალი არ შემოურტყავს.

✦ ავლაბრის ერთს ღარიბ უბნისათვის ქალაქის გამგეობამ ამ რამდენიმე ხნის წინად მოაწყო ონკანი მუქთად წყლის მისაცემად. ეს მუქთა წყალი მიაქვთ არა მარტო ახლო-მახლო მცხოვრებთ, არამედ შორიდანაც მოდიან თურმე. რის გამოც ხშირად წყალთან იმოდენა ხალხი იყრის თავს, რომ ხან და ხან უსიამოვნებაც მოსდით ხოლმე. გუშინ 25 კაცმა განცხადება შეიტანა გამგეობაში და ითხოვეს, მეონკანე დაგვიყენეთ და იმის ჯამაგირისთვის საჭირო ფული წყლის გაყიდვით აიღეთ, ხოლო ჩვენ, 25 მცხოვრებს, წყალი მუქთად გვაძლიეთო.

✦ 26 აპრილს, ნ. ვ. გოგოლის ძეგლის კურთხევის დღეს, ტფ. ქალთა საეპარქიო სასწავლებელში სალიტერატურო საღამო გაიმართა. საღამოს დაესწრნენ სასწავლებლის სამი უკანასკნელ კლასის მოწაფენი და მოსწავლეთა მშობლები. ინსპექტორმა წაიკითხა რეფერატი ამ თემაზე: „სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ფიზიონომია ნ. ვ. გოგოლისა, ხოლო სიტყვიერების მასწავლებელმა ბ-ნმა ზოლჟუმარდვინოვმა: „ცხოვრება და შემოქმედებითი ნიჭი გოგოლისა."

✦ **ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ**. ამას წინადაც იყო გამოცხადებული, რომ ცალქალამანიძის ოჯახი ძლიერ გაჭირვებულია: დედა ავად არის და ორი პატარა შვილი, ქალი და ვაჟი, უმწეო მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი. ავადმყოფი დედა უკვე გარდაიცვალა, ბავშვების პატრონი არავინ არის. საბედნიეროდ ერთმა ნათესავმა ქალმა შეაფარა თავის სახლში, მაგრამ თითონაც ღარიბია და უჭირს ცხოვრება. ბავშვები გიმნაზიაში სწავლობდნენ, მაგრამ ფულის შეუტანლობისა გამო აღარ დადიან სასწავლებლად.

# სპარსეთის ამბები

### ოსმალები ურმიაში.

ოსმალეთის ჯარის უფროსი ურმიაში საჩქაროდ აშენებს ფოსტებსა და საყარაულოებს სპარსეთის ქურთისტანსა და ოსმალეთს შუა. სპარსელი რევოლიუციონერები ოსმალებთან ერთად მუშაობენ. ამბობენ რომ ურმიის რაზმის უფროსი სათარ-ხანთან შეთანხმებით მოქმედებსო.

### ბაღეშაჰში.

შაჰის სამყოფელო ადგილას ბაღეშაჰში 28 აპრილს ღამით უცებ ყველანი შეშინდნენ და თავზარდაცემულნი აქეთ-იქით გაიფანტნენ. მოხელეები და აფიცრები თეირანში გაიქცნენ. თეირანში ხმა გავრცელდა, რომ შაჰის ჯარი კიდევ დაამარცხეს რევოლიუციონერებმაო. ზოგი ამბობს, რომ ბაღეშაჰში ჯარის-კაცებმა აჯანყება მოახდინესო.

### სულთნის დეპეშა.

ოსმალეთის სულთანმა მაჰმად მეხუთემ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა შაჰს კონსტიტუციის აღდგენის გამო. სულთანი სხვათა შორის სწერს: „ხსნა დაჩაგრულ სპარსეთისა, რომელსაც ეხლა განსაცდელი მოელის, კონსტიტუციაშია. წმიდა შარიატი პირდაპირ მოითხოვს კონსტიტუციონურ მმართველობას. მუსულმან ერის ცხოვრებას და ისლამის სულს აღორძინება მხოლოდ კონსტიტუციონურ მმართველობისგან შეუძლიანთ. ღმერთმა თქვენ ბედნიერება მოგანიჭოს და ირანს (სპარსეთს) სიხარული".

### სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშა.

სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა საადუდ-დოვლემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სპარსეთის ყველა კონსულს:

„შაჰინ-შაჰის ბრძანებით შედგენილია ახალი სამინისტრო (ჩამოთვლილია ყველა მინისტრი). გარდა ამ მინისტრებისა სახელმწიფო საბჭოში მოწვეულ იქნებიან ბევრი სხვა უფრო მცოდნე და უფრო თავისუფალი მოაზრე კაცები, რათა ამ მოკლე ხანში შეადგინონ საარჩევნო კანონები.

ამნაირად მალე შეუდგებიან არჩევანს და ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები შეიყრებიან თეირანში. რა წამს თეირანში თავს მოიყრის დეპუტატების ორი მესამედი, მაშინვე გაიხსნება მეჯლისი.

ამას გარდა შაჰის ბრძანებით სრული ამნისტია გამოეცხადა პოლიტიკურ დამნაშავეებს. არც ერთი პოლიტიკური დამნაშავე არ იქნება დასჯილი, ყველა გაქცეულ მთავრობის მიერ გადასახლებულ პოლიტიკურ დამნაშავეს შეუძლიან თავისუფლად დაბრუნდეს სამშობლოში".

### შაჰმა დახმარება სთხოვა კონსულებს.

შაჰმა სთხოვა რუსეთისა და ინგლისის ელჩებს, შეაჩერეთ რევოლიუციონერების გალაშქრება თეირანზეო. ელჩებს ჯერ არ მიუციათ პასუხი შაჰისთვის.

### რევოლიუციონერებმა შეაყენეს გალაშქრება თეირანზე.

რეშტის გუბერნატორმა სეპეხდარმა ახალი სარწმუნო ცნობები მიიღო, რომ ახალი კონსტიტუცია ნამდვილად იქნება უზრუნველყოფილიო.

სეპეხდარის თანადასწრებით რეშტის ენჯუმენმა მოახდინა სხდომა და დაადგინა, რევოლიუციონერები კაზვინში გაჩერდნენო. შაჰი თავის მხრივ დაჰპირდა, დაუყოვნებლივ უკან დავაბრუნებ ყაზახების რაზმს, კაზვინში გამოგზავნილსო.

ბახტიარების ხანმა სამსამუს-სალტანემაც შეაყენა თავისი რაზმი გზაში. (ბ.).

### რევოლიუციონერებს თავისუფლად შეუძლიანთ შესვლა თეირანში.

გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ რევოლიუციონერებს არავინ არ დაუშლის თეირანში შესვლას: ამაზე უკვე შესაფერი განკარგულება მოვახდინეთო.

### კონსტიტუციას აღარავინ დაარღვევს.

თეირანში ხმა გავრცელდა, რომ გავლენიანი რეაქციონერები ხელახლად აპირობენ კონსტიტუციის დამხობასო. ამის გამო ელჩები ოფიციალურად შეეკითხნენ გარეშე საქმეთა მინისტრს; მინისტრმა უპასუხა შაჰის სახელით, რომ ამიერიდან კონსტიტუციას ვეღარავინ დაარღვევს, რაც უნდა გავლენიანმა რეაქციონერებმა მოინდომონ ესაო.

### შაჰის შეწირულება.

მეჯლისის დანგრეულ შენობის შესაკეთებლად შაჰმა თავის საკუთარ ფულიდან შესწირა 25 ათასი თუმანი.

### პრესა თეირანში.

კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ თეირანში ოთხი გაზეთი დაარსდა. მეჯლისის დანგრევამდე 60-მდე გაზეთი გამოდიოდა თეირანში.

### სათარ-ხანს თეირანში იწვევენ.

შაჰმა დეპეშით თეირანში მიიწვია სათარ-ხანი. ეს დეპეშა სათარ-ხანმა ენჯუმენს წარუდგინა. ენჯუმენმა დაადგინა, სანამ შაჰი თავის მემკვიდრეს არ გამოჰგზავნის თავრიზში, სათარ-ხანი არ უნდა წავიდეს თეირანშიო. ეს დადგენილება დეპეშით აცნობეს შაჰსა.

### როგორ შეურიგდებიან რევოლიუციონერები შაჰსა.

თეირანში ლაპარაკობენ, რომ რევოლიუციონერები თავრიზიდან, რეშტიდან და ისპაჰანიდან თეირანის ახლო შეიკრიბებიანო. შაჰი მოეგებება რევოლიუციონერებს და ხალხის თანადასწრებით ფიცს მიიღებს, რომ კონსტიტუციას აღარ დაარღვევს, ხოლო რევოლიუციონერები თავიანთ მხრივ მიიღებენ ფიცს, რომ ერთგული ქვეშევრდომები იქნებიან.

ამის შემდეგ შაჰი რევოლიუციონერებთან ერთად შევა ქალაქში. დროებით მთავრობა შედგენილ იქნება შაჰისა და რევოლიუციონერების წარმომადგენელთაგან. რევოლიუციონერები ჯერ-ჯერობით შეიარაღებულნი დარჩებიან თეირანში, ხოლო როცა პარლამენტი შეიკრიბა, ყველა საქმეს იმას ჩააბარებენ.

# მოძრაობა ეგვიპტეში

ეგვიპტელი მოსწავლე ახალგაზდობა მოიწვევს ყველა ეგვიპტელს და აგრეთვე ყველა ევროპიელს, რომელსაც ეინტერესება ეგვიპტეს ბედი, დაესწრნენ კრებას, რომელიც მომავალ ზაფხულში გაიმართება ეგვიპტეს ავტონომიაზე მოსალაპარაკებლად.

ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა მოხსენება თავის წარმომადგენელისა ეგვიპტეში—სერ ელდონ გორსტისა. გორსტმა ეგვიპტეს მმართველობა იკისრა იმ იმედით, რომ თვითმმართველობის გაფართოვებით, იგი ეგვიპტელების თანაგრძნობას მოუპოვებდა ინგლისს და მიაღწევდა იმას, რასაც ვერ მიაღწია მისმა წინამოადგილემ ლორდ კრომერმა. გორსტი აღიარებს, რომ მისი მეცადინეობა მარცხით გათავდა.

ეგვიპტეს განათლებულ კლასთა უმეტესობა ეხლა უფრო მტრულად უცქერის ინგლისს, ვიდრე წინად; ხოლო დაბალ კლასებში ძლიერ აღელვებულნი არიან და ამ აღელვებას უფრო აძლიერებს არაბული პრესა (ეგვიპტში მომეტებულ ნაწილად ცხოვრობენ არაბები). სპარსეთისა და ოსმალეთის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ძლიერ გაამხნევა ეგვიპტელი კონსტიტუციონალისტები. ეხლა ეგვიპტეს ხალხი უფრო თამამად თხოულობს კონსტიტუციას და ავტონომიას თავის სამშობლოსთვის.

# შემოწირულება

**წერა-კითხვის საზოგადოებამ ლატარიისთვის მიიღო:**

ნადირაშვილისგან—12 ც. ხელსახოცი, 3 ც. პატარა სარკე, 1 თავის ჩოთქი, ივ. კიკვაძისგან—3 ბ. არაყი, ვასილ ჩხიროძისგან—კომფეტები; კ. რუსტამოვისგან—1 ყ. კონვერტი; იაგორ ფურაშვილისგან—5 ბოთლი ღვინო; ან. შევარდენიძისგან—2 ბ. ღვინო, ნიკ. მურვანიშვილისგან—6 ბ. ღვინო; მაქს. ზვიადაძესგან—ჰიქა-თეფშები; ბერიძისა და მიქელაძისგან—7 მ. ღირებული წამოსასხამი, ე. ი. ორლოვისგან—3 ნაჭ. საპონი; ა. ზედგინიძისგან—ბალიში; ოქრომჭედლისგან—1 ც. ხელთათმანი; კაჭკაჭოვის მაღაზიისგან—1 საბანი, 2 პირსახოცი, 4 არშ. ჩაის ტილო; მინასოვისგან—წინსაფარი; ცატუროვისგან—ცხვირსახოცი; წყალობა პაპანოვისგან—1 ც. ჩუსტი; კაზაროვისგან—ქუდი; ნაზაროვისგან—სამელნე; გოლშტეინისგან—ვერცხლის კოვზი; პერლოვის ამხ.—სგან—$1/_4$ გირვ. ჩაი და $1/_4$ გირვ. ყავა; კოხანის ევროპ. მაღაზიისგან—სათამაშოები; ს. აივაზოვისგან—2 საყელო; ევანგულოვისგან—1 ხერხი; ალიხანოვისგან—1 სარძევე; დავით ესხეროვისგან—1 საყურე; ვაშაკიძესგან—8 კუთხიანი მაგიდა.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ :

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი**: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი**: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი**: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი :

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი**: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**.

(წ.—1—78)